



სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**თინათინ ამბრიაშვილი**

**ანტიკრიზისული მენეჯმენტის სტრატეგიები საბანკო ბიზნესში  
პანდემიის პირობებში**

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალურ მეცნიერებათა,  
ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე ბიზნესის  
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

**ხელმძღვანელი: თეა ხორგუაშვილი**

პროფესორი

გორი

2021

# ანოტაცია

## ანტიკრიზისული მენეჯმენტის სტრატეგიები საბანკო ბიზნესში

### პანდემიის პირობებში

საბანკო სისტემის განვითარება და წარმატებით ფუნქციონირება მნიშვნელოვანი ფუნდამენტია თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში. განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მსოფლიოს უმეტესმა ქვეყანამ, და მათ შორის საქართველომაც, განიცადა განსხვავებული სიდიდისა და სიმწვავის საბანკო კრიზისი, რამაც მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ფინანსური კრიზისების კვლევა ერთ-ერთი რთული, საკვანძო და აქტუალური მიმართულებაა თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში და მას უდიდეს ყურადღებას უთმობენ ეკონომიკური თეორიის კლასიკოსები.

ნაშრომში „ანტიკრიზისული მენეჯმენტის სტრატეგიები ქართულ საბანკო ბიზნესში პანდემიის პირობებში“ განხილულია საბანკო კრიზისების იდენტიფიცირება, განმაპირობებელი ფაქტორები და წარმოდგენილია მათი შემცირებისა და თავიდან აცილების სტრატეგიები. კომერციული ბანკების მთავარ მიზანს წარმოადგენს შექმნილი ფინანსური კრიზისიდან ნაკლები დანაკარგებით გამოსვლა, რადგან ბანკი იყოს გადახდისუნარიანი და უპასუხოს მოსალოდნელ გამოწვევებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხი მეტად აქტუალურია, როგორც საბანკო სექტორის წარმომადგენლებისთვის, ისე საზოგადოებისთვის. ნაშრომში ძირითადად განხილულია COVID-19 პანდემიით გამოწვეული ფინანსური კრიზისის ნეგატიური გავლენა საბანკო სექტორზე და შემუშავებულია კრიზისის დაძლევის სრულყოფის გზები.

კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანებია გავაანალიზოთ ფინანსური კრიზისების როლი საბანკო სექტორის საქმიანობაში, სახელმწიფოსა და ეროვნული ბანკის ჩართულობა საბანკო კრიზისების დაძლევაში და იმ სტრატეგიების განხილვა, რითიც ცდილობენ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები ფინანსური სირთულეების გადალახვას, გამოწვეულს ბანკის შიდა პოლიტიკით ან მაკროეკონომიკური ფაქტორებით.

კვლევის საფუძველზე მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები შესაძლებელს გახდის საბანკო კრიზისების ეფექტურ მართვას, რაც თავის მხრივ გააუმჯობესებს საბანკო სექტორის საქმიანობას.

# ANNOTATION

## **Anti-Crisis Management Strategies Banking Business in Condition of the Pandemic**

**T.AMBRIASHVILI**

The development and successful functioning of the banking system is an important foundation in the conditions of a modern market economy. At different stages of development, most countries in the world, including Georgia, have experienced banking crises of varying magnitude and severity, which has had a significant negative impact on their economic situation. The study of financial crises is one of the most complex, key and current directions in modern economic science and it is given the greatest attention by the classics of economic theory.

The paper "Anti-Crisis Management Strategies in Georgian Banking Business in Condition of the Pandemic" discusses the identification of banking crises, determinants and strategies for their reduction and prevention. The main goal of commercial banks is to get out of the current financial crisis with less losses, because the bank should be solvent and respond to the expected challenges. Due to the above, the issue is very relevant for the representatives of the banking sector and the public. The paper mainly discusses the negative impact of the financial crisis caused by the COVID-19 pandemic on the banking sector and develops ways to improve the crisis.

The main purpose and objectives of the study are to analyze the role of financial crises in the banking sector, the involvement of the state and the National Bank in overcoming banking crises and to discuss the strategies used by commercial banks in Georgia to overcome financial difficulties caused by the bank's domestic policy or macroeconomic factors.

The findings and recommendations based on the research will enable the effective management of banking crises, which in turn will improve the performance of the banking sector.

## შინაარსი

შესავალი.....	5
თავი I. საბანკო კრიზისების თეორიული მიმოხილვა.....	11
1.1. საბანკო კრიზისების მიმოხილვა.....	11
1.2. საბანკო კრიზისების იდენტიფიცირება და განმაპირობებელი ფაქტორები.....	14
1.3. საბანკო კრიზისების დაძლევის მსოფლიო გამოცდილება.....	19
თავი II. კრიზისების გავლენა კომერციული ბანკების საქმიანობაზე და ანტიკრიზისული მენეჯმენტის სტრატეგიები.....	28
2.1. საბანკო კრიზისების პროგნოზირება და საბანკო კრიზისების დაძლევის მეთოდები.....	28
2.2. საბანკო რეგულაციების მიმოხილვა და მისი როლი საბანკო კრიზისების მართვაში.....	35
2.3. საბანკო კრიზისების შედეგები.....	41
თავი III. საბანკო ბიზნესის ანტიკრიზისული მენეჯმენტი COVID-19 პანდემიის პირობებში.....	45
3.1. COVID-19 პანდემიის გავლენა საბანკო სექტორის საქმიანობაზე.....	45
3.2. კვლევა -COVID-19 პანდემიის გავლენა საბანკო ბიზნესზე.....	53
დასკვნა და რეკომენდაციები.....	60
გამოყენებული ლიტერატურა.....	63

## შესავალი

**თემის აქტუალურობა.** ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობისთვის უმთავრესი ამოცანაა ეკონომიკური ზრდის მაღალი და მდგრადი ტემპების უზრუნველყოფა. აღნიშნული მიზნის უზრუნველსაყოფად ეკონომიკაში საბანკო სექტორის განვითარება და წარმატებული ფუნქციონირება მნიშვნელოვან როლს თამაშობს. საბანკო სექტორის გამართულად მუშაობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყანაში შექმნილ საინვესტიციო მდგომარეობაზე, საბანკო საქმიანობის რეგულირების მექანიზმებსა და საფინანსო სისტემის სხვადასხვა სეგმენტში არსებულ მდგომარეობაზე. ამრიგად, საბანკო სექტორის საქმიანობაზე უამრავი შიდა და გარე ფაქტორი მოქმედებს, რომლებმაც შესაძლოა საბანკო კრიზისი გამოიწვიოს.

ზოგიერთი მკვლევარი საბანკო კრიზისს აიგივებს როგორც ცალკეული ბანკების გაკოტრებასთან, აგრეთვე მთელი საბანკო სექტორის ვარდნასთან. თუმცა ეს მიდგომა საკმარისად ზუსტად ვერ ჩაითვლება, რადგან ცალკეული ბანკის გაკოტრების დროს საუბარი მიზანშეწონილია მხოლოდ ამ ბანკის და არა მთლიანად საბანკო სექტორის კრიზისზე. საბანკო კრიზისის შედარებით ამომწურავი განმარტება შემდეგია: საბანკო სფეროში ფულის კრიზისის გამოვლენა მიუთითებს საბანკო სისტემის დაძაბულობაზე, რაც ვლინდება ბანკების ლიკვიდურობის დაკარგვაში, საბანკო ოპერაციების შეზღუდვაში, საქმიანობის მიმართულების შეცვლაში, საპროცენტო განაკვეთის მომატებაში, გაკოტრების სწრაფ ზრდაში და ა.შ.

კრიზისის ცნება მჭიდროდ უკავშირდება რისკის ცნებას, რომელიც ამა თუ იმ ზომით ახდენს ზეგავლენას ნებისმიერ მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებაზე. შეიძლება კრიზისის პრობლემა სხვა რაკურსითაც იქნას დანახული. სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას თავისი ნებისმიერი სახითა და ფორმით, გააჩნია საკუთარი არსებობის ორი ტენდენცია: ფუნქციონირება და განვითარება. ფუნქციონირება და

განვითარება მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და ასახავს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ძირითად ტენდენციას.<sup>1</sup>

ბანკების შექმნის აუცილებლობა გამოწვეული იყო დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულირებისა და მათი საკრედიტო რესურსების სახით მიწოდების აუცილებლობით. შესაბამისად, საბანკო სისტემის ძირითადი ფუნქციაა ფინანსური შუამავლობა: ფულადი რესურსების მოზიდვა და მათი განთავსება კრედიტების სახით. საბანკო კრიზისის დროს კი ამ ფუნქციის შესრულება შეფერხებულია, რადგან ბანკებიდან სახსრები გაედინება და დაკრედიტების მოცულობა მცირდება. ბანკების კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს ანგარიშსწორებების და გადახდების განხორციელება ეკონომიკურ საქმიანობაში. მაგრამ, როდესაც საბანკო სექტორიდან სახსრები გაედინება, ბანკები კარგავენ ლიკვიდურობის თვისებას, შედეგად კი - გადახდისუნარიანობას. ამ დროს, საფრთხის ქვეშ დგება ბანკების მიერ ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების უნარი, რადგან გადახდისუნარო ბანკი ასეთ ოპერაციებს ვერ შეასრულებს.

ნებისმიერ საბანკო საქმიანობას ახასიათებს გარკვეული სახის რისკი და მისგან გამოწვეული ფინანსური დანაკარგები. დიდი მასშტაბის დაუგეგმავი ფინანსური დანაკარგები, რომლებიც მნიშვნელოვნად აჭარბებს მოგებას, იწვევს კონკრეტული ბანკის და ზოგჯერ საბანკო სისტემის კრიზისს. კრიზისის მართვა ხორციელდება ფინანსური რისკების დადგენით, მათი შემცირების ან თავიდან აცილების გზების ძიებით, რომლებსაც ანტიკრიზისული მენეჯმენტის სტრატეგიები მოიცავს.

დასავლეთის ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ მიუხედავად საბანკო კრიზისის მრავალფეროვანი ბუნებისა, შეიძლება ითქვას, რომ ყველა საბანკო კრიზისი ერთი უნივერსალური სცენარით წარმოიქმნება. ყოველ კრიზისს წინ უძღვის ფასების ზრდა ქონებაზე და აქციებზე, იზრდება ფულის ნაკადის სიჩქარე, რაც განპირობებულია ოპტიმისტურად

---

<sup>1</sup> ქეშელაშვილი, გ. ანტიკრიზისული მენეჯმენტი. თბილისი. 2019.

განწყობილი ინვესტორების ქცევით. სწრაფად იზრდება დავალიანებების მოცულობა და კრიზისის უშუალო დაწყებამდე ფიქსირდება ჯერ ეკონომიკის განვითარების ზრდა, შემდეგ კი - ვარდნა. ბოლო წლების კრიზისული მოვლენები, რომლებიც მსოფლიოს მეტ წილ ქვეყანაში განვითარდა, ზედმიწევნით ჰგავს ამ სცენარს.

საბანკო კრიზისების მიზეზების სიღრმისეული კვლევა დაიწყო გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, რომლის მიხედვით გამოიკვეთა საბანკო კრიზისების გამომწვევი ხუთი ძირითადი მიზეზი: შიდა მაკროეკონომიკური პოლიტიკა; საგარეო მაკროეკონომიკური გარემო; გაცვლითი კურსის რეჟიმი; ქვეყნის საფინანსო სტრუქტურა; კონტროლისა და რეგულირების მექანიზმები. <sup>2</sup>

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** კვლევის მიზანია საბანკო ბიზნესის განვითარების სრულყოფის საკითხები და ანტიკრიზისული სტრატეგიების განსაზღვრა საქართველოში.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომში დასახულია შემდეგი ამოცანები:

- საბანკო კრიზისების მიმოხილვა და იდენტიფიცირება;
- საბანკო კრიზისების გავლენა კომერციული ბანკების საქმიანობაზე;
- საბანკო კრიზისების დაძლევის მეთოდები და სტრატეგიები;
- საბანკო კრიზისების პროგნოზირება და დაძლევის მეთოდები;
- საბანკო რეგულაციების მიმოხილვა და ანტიკრიზისული სტრატეგიები;
- საბანკო კრიზისების შედეგები და გააანალიზება;
- კოვიდ-19 -ის გავლენა საბანკო ბიზნესზე;
- საბანკო სექტორის და მომხმარებლების პრობლემების კვლევა დღევანდელი გამოწვევებიდან გამომდინარე.

**კვლევის საგანი და ობიექტი.** კვლევის საგანია ფინანსური კრიზისები და საბანკო სექტორის განვითარება.

---

<sup>2</sup> ელიავა, ლ. საბანკო კრიზისების პროგნოზირება. თბილისი. 2013.

- **კვლევის ობიექტია** ის ეკონომიკური სუბიექტები, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ფინანსურ ინსტიტუტებთან და საბანკო ბიზნესის ხელშეწყობასთან საქართველოში.

**კვლევის მეთოდოლოგია ემყარება შემდეგ მეთოდებს:** კვლევაში გამოყენებულია მონაცემთა დამუშავების და ანალიზის მეთოდი. ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და სტატისტიკური ანალიზის მეთოდი. სამაგისტრო ნაშრომი ეფუძნება ქართული და უცხოური ლიტერატურის და ქართული გამოცდილების, კონკრეტული მაგალითების გაანალიზებას. კვლევაში გამოყენებულია ანკეტური გამოკითხვის მეთოდი (ღია და დახურული ტიპის კითხვარის კომბინაცია) და ინტერვიუ.

**კვლევის ბაზა** ძირითადად მოიცავს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს; ინტერნეტ რესურსებს; ქართველი ავტორების კვლევებს; სამეცნიერო სტატიებში გამოყენებულ მასალებს და დისერტაციებში ჩატარებული კვლევის შედეგებს.

**მეცნიერული სიახლე** მდგომარეობს თანამედროვე ეკონომიკურ პირობებში საბანკო კრიზისების დადგენისა და მართვის პროცესის შესწავლასა და მისთვის დამახასიათებელი თავისებურებების განსაზღვრაში. ნაშრომში წარმოდგენილია მეცნიერული სიახლის შემდეგი ელემენტი: საბანკო კრიზისების ბუნებიდან გამომდინარე შემუშავებულია არსებული ანტიკრიზისული სტრატეგიების რეკომენდაციები, რომელიც დაეხმარება ფინანსურ კრიზისში მყოფ საბანკო ბიზნესს. კვლევის შედეგად შემუშავდა შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები.

**კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა** მდგომარეობს იმაში, სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი შედეგები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საბანკო სექტორში ანტიკრიზისული მენეჯმენტის უზრუნველყოფისას.



## ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომში გამოყენებულია საბანკო საქმიანობასთან, საბანკო კრიზისების პროგნოზირებასთან, საბანკო რისკებთან, მათი მართვისა და დაძლევის მოდელებთან, საბანკო რეგულაციებთან დაკავშირებით გამოცემული ეროვნული და უცხოური ლიტერატურა, რომელშიც სიღრმისეულადაა განხილული საბანკო საქმიანობასთან და საბანკო კრიზისების მართვასთან დაკავშირებული პრობლემები.

სახელმძღვანელოში „ანტიკრიზისული მენეჯმენტი“ (ქემელაშვილი, გ. ანტიკრიზისული მენეჯმენტი. თბილისი. 2019) წარმოდგენილია ანტიკრიზისული მართვის პრობლემები; კრიზისი ორგანიზაციის განვითარებაში; ხელისუფლების როლი ანტიკრიზისული მართვის სისტემაში; კრიზისული მოვლენების ნიშნები და ძირითადი ფაქტორები; საწარმოს გაკოტრების განსაზღვრის მეთოდები და ასევე გაკოტრების თავიდან აცილების გზები.

წიგნში „საბანკო საქმე“ (ბასილაია, ვ. საბანკო საქმე. თბილისი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2018.) - განხილულია თანამედროვე-საბანკო საკრედიტო სისტემის, ცენტრალური ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო სისტემის რეგულირების ფორმებისა და მეთოდების საკითხები. ასევე, საბანკო რისკ-მენეჯმენტი და რისკების შეფასებისა და მართვის სისტემა. რისკების ბუნების ღრმად გასაანალიზებლად განხილულია საბანკო რისკების სხვადასხვა ტიპის კლასიფიკაცია, სადაც საბანკო რისკები დანახულია განსხვავებული მიმართულებით: წარმოშობის წყაროების მიხედვით; საქმიანობის მიმართულების მიხედვით; საქმიანობის სფეროს მიხედვით; ხარისხის მიხედვით; რეგულირების შესაძლებლობის მიხედვით და ა.შ.

წიგნში “Drivers of Bank Lending” (Brinkmeyer , H. Drivers of Bank Lending. Germany. 2015) განხილულია ბანკის საკრედიტო სტრუქტურა; ცენტრალური ბანკის შესაძლებლობა მოახდინოს გავლენა საბანკო სესხების მიწოდების სქემაზე; საბანკო სესხების გაცემა კრიზისების ფონზე.

სტატიაში „Fiscal Deficits, Bank Credit Risk, and Loan-Loss Provisions“ Michael (G. Fiscal Deficits, Bank Credit Risk, and Loan-Loss Provisions. Foster School of Business, University of Washington. 30 June 2020) განხილულია, რომ ფისკალური დეფიციტის დონე მნიშვნელოვანი ცვლადია ბანკების საკრედიტო რისკის გაზომვისთვის, ვინაიდან ის ავლენს მთავრობის შესაძლებლობას, შეამცირონ ზარალის დონე კრიზისულ რეგიონებში ფულადი ინფუზიებით ან მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკით. დეფიციტის დონის ზრდა უკავშირდება საბანკო სექტორის ფინანსურ გაჭირვებას და სესხის ზარალის რეზერვების უფრო მაღალ დონეს.

წიგნში „Principles of Risk Management and Insurance“ (Rejda, G.E. McNamara, M. J. Thirteenth Edition. Harlow England. 2017.) განხილულია რისკის სახეები და მისგან გამოწვეული დანაკარგები. ასევე პერსონალური და კომერციული რისკები. ბიზნეს სექტორი განიცდის მრავალი სახის რისკს, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური დანაკარგები და გაკოტრება.

სტატიაში “Inside Debt and Bank Risk” (Michael G. Foster School of Business, University of Washington 2016) მოცემულია აშშ-ს ექსპერტების შეფასება, რომლის მიხედვით ბანკები უარყოფით დამოკიდებულებას ავლენენ რისკის აღებასთან მიმართებაში. ბანკები, სადაც მუშაობენ დიდი სასესხო პორტფელის მქონე მენეჯერები, ხასიათდებიან უკეთესი ხარისხის აქტივების ფლობით, უფრო კონსერვატორული და დაბალანსებული საბანკო მენეჯმენტით. შედეგების თანახმად, არსებული საფრთხეებიდან გამომდინარე, კომერციული ბანკები ამჯობინებენ უფრო ნაკლებად სარისკო ნაბიჯების გადადგმას და კონსერვატორული გადაწყვეტილებების მიღებას.

## თავი I

### საბანკო კრიზისების თეორიული მიმოხილვა

#### 1.1. საბანკო კრიზისების მიმოხილვა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არსებობს საბანკო კრიზისის ცნების განმარტებისადმი ერთიანი მიდგომა. ცნობილი მკვლევარებისგან შემოთავაზებულია განმარტებები, რომლებიც შინაარსობრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგალითად, სამეცნიერო ლიტერატურაში საბანკო კრიზისების ცნების შემდეგი განმარტებები არსებობს:

- ფულზე მოთხოვნა ვერ კმაყოფილდება ბაზრის ყველა მონაწილის მიერ მოკლევადიან პერიოდში;
- ეკონომიკური ბუმის პერიოდში გაცემული სესხების ჩამოწერა;
- საბანკო კრიზისი არის ისეთი გარემოება, რომლის დროსაც ბანკი ხდება გადახდისუუნარო, რის შედეგად მათი ვალდებულებები აქტივების მოცულობაზე მეტი ხდება;
- საბანკო სექტორის გარკვეული ნაწილი გადახდისუუნაროა, მაგრამ მაინც ფუნქციონირებს;
- გარემოება, როდესაც საკრედიტო რესურსების მიმწოდებლები, რომლებიც ჩვეულებრივ პირობებში გასცემენ სესხებს ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე, აღმოჩნდნენ უუნარონი გასცენ ეს კრედიტები ნებისმიერი ვადითა და ფორმით.

საბანკო კრიზისის შინაარსი შეიძლება შემდეგნაირად განვმარტოთ: საბანკო კრიზისი წარმოადგენს საბანკო სისტემის უუნარობა, შეასრულოს ისეთი ძირითადი ფუნქციები, როგორცაა თავისუფალი ფულადი რესურსების მობილიზება, კრედიტების გაცემა, ეკონომიკურ საქმიანობაში ანგარიშსწორებების განხორციელება. ამ სამი ძირითადი ფუნქციიდან ერთ-ერთის მოშლა ნიშნავს საბანკო კრიზისის დაწყებას, ხოლო თუ რომელიმე ძირითადი ფუნქციის მოშლამ სხვა დანარჩენი ფუნქციის მოშლა გამოიწვია, სისტემურ საბანკო კრიზისთან გვაქვს საქმე.

საბანკო სექტორში კრიზისები მრავალფეროვანია. მათი წარმოქმნის გამომწვევი მიზეზები და პირობები განსაზღვრავენ კრიზისების არეალს და სახეებს. კრიზისები მასშტაბებიდან გამომდინარე შეიძლება დავყოთ შემდეგ სახეებად:

- **ლოკალური** - როდესაც კრიზისი ვრცელდება რამოდენიმე ბანკზე ან ბანკთა ჯგუფზე (ტერიტორიული ან დარგობრივი პრინციპით);
- **ეროვნული** - კრიზისის მასშტაბი მოიცავს ერთ კონკრეტულ ქვეყანას;
- **რეგიონული** - როდესაც კრიზისი წარმოიქმნება და ვრცელდება ერთი რეგიონის რამოდენიმე ქვეყანაში;
- **გლობალური** - როდესაც კრიზისი ვრცელდება მსოფლიო მასშტაბით.

საბანკო კრიზისის მასშტაბის მიხედვით სხვადასხვა ტერიტორიაზე წარმოქმნილ კრიზისებს შორის არსებობს გარკვეული ურთიერთკავშირი. კრიზისი ცალკეულ ბანკებში, შეიძლება საერთო ეროვნული საბანკო კრიზისის მიზეზი გახდეს. ასევე ერთი სახელმწიფოს ფინანსურმა პრობლემებმა შეიძლება გამოიწვიოს მეორე ქვეყნის ფინანსური არასტაბილურობის პროვოცირება, მოიცვას მთლიანი რეგიონი ან საფუძველი ჩაუყაროს მსოფლიო კრიზისის განვითარებას.

გამოვლენის მიხედვით საბანკო კრიზისები შეიძლება დავყოთ შემდეგნაირად:

- **ლატენტური კრიზისი**, როდესაც საბანკო ინსტიტუტების მნიშვნელოვანი ნაწილი ქმედითუუნაროა, თუმცა აგრძელებს ფუნქციონირებას;
- **საბანკო კრიზისის ღია ფორმა**, რომლის დროსაც საბანკო პანიკას მოსდევს ანაბრების მასიური გადინება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საბანკო გაკოტრება.
- **სისტემური საბანკო კრიზისი** - იგი გულისხმობს ბანკების უმრავლესობის ქმედითუუნარობას. ქმედითუუნარობის ქვეშ მოიაზრება ბანკის მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობა, რაც, თავის

მხრივ გამოწვეულია ბანკის მევალებების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პუნქტების შეუსრულებლობით ან მისი აქტივების გაუფასურებით.

- საბანკო კრიზისები ასევე იყოფა წარმოშობის მიხედვით შემდეგნაირად:

- **კონიუნქტურული** (მიმდინარე, ლოკალური) კრიზისი წარმოადგენს გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის კრიზისებს, რომლებიც წარმოიქმნება კონიუნქტურული ბრძოლის შედეგად ბაზარზე წილისათვის;

- **სავალო** (სასესხო) კრიზისი ყალიბდება ისეთ საბანკო სისტემაში, რომელიც მნიშვნელოვნადაა აქციონერებზე, კლიენტებზე დამოკიდებული და დაკავშირებულია საკრედიტო პორტფელის რისკიანობასთან, მთლიანი აქტივების დივერსიფიკაციასთან;

- **ორგანული** (მორალური) კრიზისი გამოწვეულია ბანკების მფლობელების ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების ლობირებით.

- **სტრუქტურული** (სისტემური) კრიზისი ყალიბდება მაკროეკონომიკური პრობლემების, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის, ცალკეული ეკონომიკური სუბიექტების ფინანსური რყევების საფუძველზე.

საბანკო კრიზისები ინდივიდუალური მახასიათებლების ნიშნის მიხედვით შეიძლება კლასიფიცირდეს პრობლემატიკის, სიმწვავის, მასშტაბის, განვითარების სფეროს და შესაძლო შედეგების მიხედვით. აღნიშნული ნიშნები განიხილება კრიზისის ძირითად პარამეტრებად, რომლის მეშვეობითაც ფასდება კრიზისული სიტუაციის ხარისხი და მუშავდება ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებები მათ აღმოსაფხვრელად.

საბანკო კრიზისს ახასიათებს ვადაგადაცილებული სესხების მკვეთრი ზრდა საკრედიტო პორტფელში, აგრეთვე საბანკო აქტივების ღირებულების შემცირება. შედეგად კი საკრედიტო დაწესებულების გადახდისუნარიანობა უარესდება და საბანკო სისტემა ვეღარ ახერხებს ფინანსური რესურსების ეფექტურ გადანაწილებას.

საბანკო კრიზისი ხდება სისტემური ხასიათის, როდესაც ქვეყნის ფინანსური სექტორები განიცდიან დიდი მოცულობის დეფოლტს და დგებიან ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პრობლემის წინაშე. ამ დროს მნიშვნელოვნად მატულობს დაუბრუნებელი სესხების მოცულობა და ბანკების კაპიტალი მთლიანად ან ნაწილობრივ იწურება. აღნიშნულ მდგომარეობას შეიძლება თან ახლდეს აქტივებზე ფასების ვარდნა, საპროცენტო განაკვეთის სწრაფი ზრდა და მოზიდული კაპიტალის შემცირება ან მისი გადინება.

მაკროეკონომიკურ ჩარჩოებში კრიზისის განვითარება ნეგატიურ გავლენას ახდენს მთლიანი ქვეყნის ეკონომიკაზე. ამის ნათელი მაგალითია ჩილეს კრიზისი ( 1981-1984 წწ. ), სადაც საბანკო კრიზისმა მშპ-ს მოცულობა 13%-ით შეამცირა. აღნიშნული ქვეყნის ბანკების დიდი ნაწილი ნაციონალიზებულ იქნა და სახელმწიფო მრავალი წლის განმავლობაში ხარჯებს სწევდა მათ რესტრუქტურირებაზე. ჩილეს მაგალითი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ საბანკო სექტორის რესტრუქტურირაციის პოლიტიკა, დაკრედიტების შეზღუდვის შერბილება სასიკეთო გავლენას ახდენს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე. თუ კრიზისის შედეგად მაკროეკონომიკური შოკები გადადის ფართომასშტაბიან საბიუჯეტო დესტაბილიზაციაში, რომელიც იწვევს მაღალ ინფლაციას და ეკონომიკის ჩამოშლას, მაშინ ხელისუფლება იძულებული გახდება სწრაფად შეიმუშავოს რადიკალური ღონისძიებები ეკონომიკის აღორძინებისა და სტაბილიზაციის მიზნით.

## **1.2. საბანკო კრიზისების იდენტიფიცირება და განმაპირობებელი ფაქტორები.**

საბანკო კრიზისების იდენტიფიცირება პრაქტიკაში გარკვეულ სირთულეებს ეფუძნება, ვინაიდან არ არსებობს სტატისტიკური მაჩვენებლების დროითი მწკრივები, რომლებიც გაამარტივებენ ანალოგიურ სამუშაოებს. იაპონიის 1997 წლის საბანკო კრიზისის მაგალითზე,

შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე საბანკო კრიზისების უმრავლესობა ვითარდება ბანკების ბალანსებში პრობლემური აქტივების წარმოქმნის შედეგად და დეპოზიტების გამოთხოვასთან ნაკლებადაა დაკავშირებული. უფრო ხშირად ახასიათებთ განვითარებად ქვეყნებს დეპოზიტების მნიშვნელოვანი ნაწილის გადინება და ბანკებზე მენაბრების მასიური შემოსევა. ასეთი მდგომარეობა იყო 1980-1990 წლებში ფილიპინებში, არგენტინაში, ტაილანდში, ურუგვაისა და თურქეთში. დეპოზიტების დიდი ნაწილის გადინება გამოიწვია პრობლემური საბანკო აქტივების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროვებამ და ეროვნული ვალუტისადმი ნდობის დაკარგვამ. ჯამში, ბანკებზე მენაბრეთა შესევა უფრო მეტად არის საბანკო პრობლემის შედეგი, ვიდრე გამომწვევი მიზეზი.

საბანკო კრიზისს უშუალოდ იწვევს აქტივების ხარისხის თანდათანობითი გაუარესება. მისი იდენტიფიცირებისთვის გამოიყენება ისეთი ცვლადები, როგორცაა ბანკების გაპრობლემებული სესხების წილი საკრედიტო პორტფელში, ფასიან ქაღალდებსა და უძრავ ქონებაზე ფასების მნიშვნელოვანი რყევა, ასევე ეკონომიკური ერთეულების გაკოტრებები. სირთულეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ასეთი სახის საჯარო მონაცემები ნაკლებადაა სრულად და ზუსტად წარმოდგენილი. ზემოთ აღნიშნული შეზღუდვების გათვალისწინებით, საბანკო კრიზისები ვლინდება ისეთი მოვლენების საფუძველზე, როგორცაა ბანკების ფორსირებული დახურვა, შერწყმა, მთავრობის მიერ ბანკების ნაციონალიზაცია ან ფინანსური დახმარების გაწევა მათთვის.

საბანკო კრიზისის იდენტიფიცირების კიდევ ერთი ფაქტორი შეიძლება იყოს გაკოტრებებისა და ვადაგადაცილებული სესხების დიდი მოცულობა. როგორც წესი, გაკოტრებისა და დაუბრუნებელი სესხების შესახებ სრული ინფორმაციის საჯაროობა ხშირ შემთხვევაში შეზღუდულია ბანკების სურვილით. ამ შეზღუდვების მიხედვით, საბანკო კრიზისის დაწყება იშიფრება ორი ტიპის მოვლენით: ბანკებზე შესევით, რომლის შედეგად ხდება ბანკების დახურვა, შერწყმა ან ნაციონალიზაცია, რასაც

ჰქონდა ადგილი 1993 წელს ვენესუელაში. ზოგჯერ არ ფიქსირდება ბანკებზე მეანაბრეთა შესევა, მაგრამ ადგილი აქვს ბანკების შერწყმას, ნაციონალიზაციას ან მთავრობის მსხვილმასშტაბიან დახმარებას საკრედიტო დაწესებულებებისათვის, როგორც ეს იყო 1997 წელს ტაილანდში.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საბანკო სექტორის სისუსტე ვლინდება საბანკო კრიზისის მთელი პერიოდის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, კრიზისის დაწყების ზუსტი პერიოდის განსაზღვრა არც ისე ადვილია. მაგალითისთვის, ფაქტობრივი კრიზისი შეიძლება დაფიქსირდეს შედარებით მოგვიანებით, ვინაიდან ფინანსური პრობლემები იმაზე ადრე იწყება, ვიდრე ბანკს ჩამოერთმევა ლიცენზია ან შეუერთდება სხვა ბანკს. ასევე კრიზისის ნიშნები შეიძლება დაფიქსირდეს ნაადრევად, ვინაიდან უფრო მძიმე კრიზისი მოგვიანებით ვითარდება. ამიტომ საჭიროა განისაზღვროს როდის აღწევს საბანკო კრიზისი თავის პიკს, ანუ მთავრობა სერიოზულ ჩარევას იწყებს ბანკების საქმიანობაში ან ბანკი წყვეტს თავის ფუნქციონირებას.

სირთულეს წარმოადგენს საბანკო კრიზისის დამთავრების მომენტის ინდეტიფიცირებაც, ვინაიდან არ არსებობს კონსენსუსი მისი განმსაზღვრელი კრიტერიუმების შესახებ. ასეთ კრიტერიუმებად შეიძლება მივიჩნიოთ ბანკების მიერ ნორმალური დაკრედიტების განხორციელება, პრობლემური სესხების მოცულობის მნიშვნელოვანი შემცირება, ბანკების დახურვის შეწყვეტა ან ფართომასშტაბიანი სამთავრობო დახმარების შეჩერება. ეს უკანასკნელი, შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე ცხად ინდიკატორად საბანკო კრიზისის დამთავრების, რადგან სახელმწიფო როგორც ეკონომიკის მარეგულირებელი ორგანო, მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტავს ინექციურ პროცესებს საბანკო სექტორში, როგორც კი დარწმუნდება სათანადო ანალიზისა და პროგნოზირების მეშვეობით, რომ მისი მხრიდან ჩარევის აუცილებლობა აღარ დგას.



დასავლეთის ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ მიუხედავად საბანკო კრიზისის მრავალფეროვანი ხასიათისა, შეიძლება ითქვას, რომ ყველა საბანკო კრიზისი მსგავსი სცენარით წარმოიქმნება. ყოველ კრიზისს უძღვის ფასების ზრდა ქონებაზე და აქციებზე, იზრდება ფულის ნაკადის სისწრაფე, რაც განპირობებულია ოპტიმისტურად განწყობილი ინვესტორების ქმედებით. სწრაფად იზრდება დავალიანების სიდიდე და კრიზისის დაწყებამდე ფიქსირდება ჯერ ეკონომიკის განვითარების ზრდა, შემდეგ კი - ვარდნა. ბოლო წლების კრიზისული მოვლენები, რომლებიც მსოფლიოს მეტ წილ ქვეყანაში განვითარდა, ზუსტად ამ სცენარს ჰგავს.

საბანკო კრიზისების გამომწვევი მიზეზების ღრმა კვლევა დაიწყო გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, რომლის მეშვეობით გამოვლინდა საბანკო კრიზისების გამომწვევი ხუთი ძირითადი მიზეზი: შიდა მაკროეკონომიკური პოლიტიკა; საგარეო მაკროეკონომიკური გარემო; ქვეყნის საფინანსო სტრუქტურა; გაცვლითი კურსის რეჟიმი; კონტროლისა და რეგულირების მექანიზმები.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საბანკო კრიზისების გამომწვევი ფაქტორები და პირობები მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც მიკრო, ისე მაკროეკონომიკურ სფეროებს. ძნელია რომელიმე მსხვილი კრიზისის დასახელება, სადაც მაკროეკონომიკურმა შოკებმა არ ითამაშეს მნიშვნელოვანი როლი კრიზისების წარმოქმნაში. ასეთი შოკები სხვადასხვა გზებით მოქმედებენ ბანკების გადახდისუნარიანობაზე. ეკონომიკური აქტივობების კლება, ვაჭრობის პირობების გაუარესება და სხვა არახელსაყრელი პირობები ამცირებენ ბანკების მსესხებლების მომგებიანობას. ზოგიერთი მათგანი კი უნარს კარგავს მოემსახუროს თავის საბანკო დავალიანებას და კარგი სესხები შეიძლება გადაიქცეს ცუდ სესხებად.

საბანკო კრიზისის გამომწვევ მაკროეკონომიკურ ფაქტორებს შორის შეიძლება გამოიყოს შემდეგი ფაქტორები: საკრედიტო ბუმები; საგადასახდლო ბალანსთან დაკავშირებული პრობლემები; ექსპორტის

მოცულობის შემცირება; ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება; ვალუტის კურსების ან საპროცენტო განაკვეთის მკვეთრი ცვლილებები; ვაჭრობის პირობების გაუარესება; საფინანსო ბაზრებისა და საფინანსო კანონმდებლობის განუვითარებლობა; ზედმეტი რეგულაციები; ხელისუფლების და საზედამხედველო ორგანოების გაუაზრებელი ქმედებები; ფულის მიწოდების უკმარისობა; საგარეო ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება და ა.შ.

საბანკო კრიზისის გამომწვევ მიკროეკონომიკურ ფაქტორებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბანკო ბიზნესზე მოქმედი მიკრო ფაქტორები. მათ შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გაუაზრებელ და არაფრთხილ საკრედიტო პოლიტიკას, გადაჭარბებულად დიდი რისკის აღებას, არაკომპეტენტურ მენეჯმენტს, არასაკმარის შიდა კონტროლს ან მის არარსებობას, შეცდომებს სავალუტო პოლიტიკაში და სხვა. აღნიშნული ფაქტორები მძიმდება იმ შემთხვევაში, თუ ბანკების აქციონერებს არ გააჩნიათ მნიშვნელოვანი საინვესტიციო სახსრები, ხოლო ბანკების მენეჯერებს მათ მიერ აღებულ რისკებზე უმნიშვნელო პასუხისმგებლობა აკისრიათ.

საბანკო კრიზისის წარმომქმნელ მიზეზებს შორის ასევე უნდა დასახელდეს: რისკების მართვის დაბალი ხარისხი; საბანკო კრიზისის დადგომის ალბათობის არაჯეროვანი შეფასება ცოდნის უკმარისობის გამო; სუბიექტური ხასიათის შეცდომები (ფინანსური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ტექნიკური); ცალკეული პირების ან ჯგუფების არაკანონიერი ქმედებები და ა.შ.

### **1.3. საბანკო კრიზისების დაძლევის მსოფლიო გამოცდილება.**

უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკამ განიცადა ფინანსური და მათ შორის, საბანკო კრიზისი, რომლებიც იწვევდნენ წარმოების დაცემას, საგარეო ვალის ზრდას, საბანკო სისტემის მოშლას, სავალუტო გაცვლითი კურსისა და ფასების ვარდნას,

უმუშევრობისა და სიღარიბის მკვეთრ ზრდას. ფინანსურ კრიზისებს ჰქონდათ საბანკო ან სავალუტო კრიზისის ხასიათი, ხშირად კი იგი ერთდროულად ამ ორივე ფორმით ვლინდებოდა, ანუ იქმნებოდა ე.წ. „ორმაგი კრიზისი“. ამგვარი სახის ორმაგი კრიზისები განსაკუთრებით ახასიათებს განვითარებად ქვეყნებს, სადაც საბანკო კრიზისს ხშირად თან ახლავს სავალუტო კრიზისი, რომელიც გავრცელების მასშტაბის მიხედვით სისტემურ ხასიათს იძენს. ფინანსური კრიზისები იწყება აქტივებზე ფასების მკვეთრი ცვლილებით, კრედიტების მოცულობის მნიშვნელოვანი შემცირებით ან ეროვნული ვალუტისა და საბანკო სისტემის მიმართ ბიზნესისა და მოსახლეობის ნდობის უეცარი დაკარგვით. კრიზისის დროს ვლინდება და მწვავედება ეკონომიკის სტრუქტურული და ფინანსური დისპროპორციები. ამასთან ერთად, თუ კრიზისი იღებს მწვავე ხასიათს და მისი დაძლევის მიმართულებით ხელისუფლების მიერ მიღებული ზომები დაგვიანებული ან არაეფექტური აღმოჩნდება, მისი დაძლევა პრობლემდება და დროში იწელება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მკვლევარებმა 2003 წელს 70 ქვეყნის სავალუტო და საბანკო კრიზისების ანალიზი ჩაატარეს 1975-1997 წლების მაგალითზე. მათ მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიის თანახმად ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა 158 სავალუტო კრიზისს, მათ შორის 55 სავალუტო კრახს და 54 საბანკო კრიზისს. 2008 წელს დაზუსტებული კვლევის შედეგების შეჯამების მიხედვით 1970-2007 წლებში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან 42 სისტემურ საბანკო კრიზისს, რომელიც მსოფლიოს 37 ქვეყანაში განვითარდა. საბანკო კრიზისების რიცხვმა ამ პერიოდისათვის 124 შეადგინა.

მსოფლიოში განვითარებული მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ფინანსური კრიზისების მიუხედავად, პრაქტიკულად ყველა მათგანს საფუძვლად ერთი და იგივე ფაქტორების ჯგუფი უდევს, რომელთა სიდრმისეული შესწავლა, შეფასება და ანალიზი თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების მნიშვნელოვანი მიმართულებაა. მას

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კრიზისული მოვლენების პრევენციისა და დაძლევის საქმეში.

XX საუკუნეში ფინანსურმა კრიზისმა უფრო მწვავე და მასშტაბური სახე შეიძინა, რაც განპირობებული იყო სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკის ინტეგრაციის გაღრმავებით. პირველი კრიზისი 1907 წელს დაფიქსირდა, რომელსაც უფრო ბევრი საერთო ნიშანი გააჩნდა ადრეულ კრიზისებთან. მაგრამ, საერთაშორისო მასშტაბითა და სიმწვავის ხარისხით იგი ითვლება ყველაზე მწვავე კრიზისად ოქროს სტანდარტის მთელი ეპოქის განმავლობაში. აღნიშნულმა კრიზისმა 9 ქვეყანა მოიცვა. იგი პროვოცირებული იყო ინგლისის ბანკის მიერ, რომელმაც 1906 წელს სააღრიცხვო განაკვეთი გაზარდა 3.5%-დან 6%-მდე საკუთარი ოქროს რეზერვების შევსების მიზნით. აღნიშნულმა მოვლენამ აშშ-დან კაპიტალის გადინება გამოიწვია. ნიუ-იორკში საფონდო ბაზრის კრაზის შედეგად შემცირდა საქმიანი აქტივობა, შემდგომ კი სატრასტო კომპანიების ლიკვიდურობის კრიზისი კომერციულ ბანკებზე გავრცელდა. აშშ-დან და ინგლისიდან კრიზისი საფრანგეთზე, იტალიასა და რიგ სხვა სახელმწიფოებზეც გავრცელდა.

ფინანსური კრიზისების ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო მექსიკის კრიზისი 1994-1995 წლებში. შეიძლება ითქვას, რომ იგი თანამედროვე გლობალიზაციის უარყოფითი ზემოქმედების ერთ-ერთი ნათელი მაგალითია. მექსიკაში კრიზისამდე 10 წლით ადრე დაიწყო სიღრმისეული რეფორმების პროცესი. დაიწყო ვაჭრობის ლიბერალიზაცია, პრივატიზაციის პროცესმა მოიცვა სახელმწიფო ქონების 80%. საბანკო სისტემის რეფორმა დაიწყო ბანკების პრივატიზაციით, მაგრამ მათი ახალი მფლობელები სათანადოდ ვერ ფლობდნენ საბანკო მენეჯმენტის პრინციპებს, რამაც ხელი შეუწყო ქვეყანაში საბანკო კრიზისის განვითარებას. მთავრობა სიტუაციის დასტაბილურებას შეეცადა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დამატებითი ემისიით, თუმცა ამ ნაბიჯმა სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. სტაბილიზაციას აგრეთვე ხელი

ვერ შეუწყო ბანკთაშორის სესხებზე განაკვეთების აწევამაც და ქვეყანაში განვითარდა სისტემური საბანკო კრიზისი. ქვეყნის ეკონომიკა სრული კრაზის წინაშე დადგა და მხოლოდ აშშ-სა და სავალუტო ფონდის ფინანსური მხარდაჭერის წყალობით გადაურჩა ფინანსურ კოლაფსს. მექსიკაში განვითარებულ კრიზისს „ტეკილას კრიზისი“ ეწოდა, რადგან იგი გადაედო რეგიონის სხვა ქვეყნებსაც - ბრაზილიას, არგენტინას, პოლონეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანას.

XXI საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი საბანკო კრიზისებია:

2000-2001 წლებში თურქეთში განვითარებული ფინანსური კრიზისის შედეგად სამი მსხვილი სახელმწიფო ბანკი გაკოტრდა, ჩამოყალიბდა საბანკო სისტემის ლიკვიდურობის კრიზისი, მოხდა ეროვნული საფინანსო ბაზრიდან სპეკულაციური სახსრების გადინება და ლირამ განიცადა 40%-იანი ინფლაცია პირველი სამი თვის მანძილზე. კრიზისული სიტუაცია თანდათან მწიფდებოდა თურქეთის საბანკო სექტორში და მოულოდნელად არ წარმოქმნილა, არამედ იგი უფრო იყო ზოგადი მაკროეკონომიკური კრიზისის შედეგი.

2008 წელს კრიზისი, რომელიც ამერიკის ეკონომიკაში დაიწყო, მსოფლიოს ბევრ ქვეყანას მოედო. კრიზისი იმდენად მასშტაბური აღმოჩნდა, რომ ექვსი ქვეყნის დააყენა ამერიკის საბაზრო ეკონომიკის ფინანსური მოდელის ეფექტიანობა გლობალური ბაზრის პირობებში. ფინანსური სისტემის ზოგიერთ საკვანძო რგოლებს იმდენად დიდი ზარალი მიადგა, რომ ვერ შეძლეს ადრინდელი სახით ფუნქციონირება და საჭირო გახდა მათი ან ნაწილობრივ ნაციონალიზაცია ან სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ აყვანა. ბაზარზე საერთო ნევროზულმა გარემომ გამოიწვია საბანკო კრიზისების ტრადიციული გამოვლინებები - მეანაბრეების რიგები ბანკებში და ფინანსური სახსრების მასიური გამოტანა, რამაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ლიკვიდურობის აქტუალურობას. თუმცა ფართო მასშტაბით საბანკო კრიზისის საფრთხე მაშინ წარმოიშვა, როდესაც აშშ-ს უმსხვილესმა ბანკმა Washington Mutual, რომელსაც

უდიდესი კლიენტურის ბაზა გააჩნდა და 2300 განყოფილება მთელი ქვეყნის მასშტაბით, განიცადა მეანაბრეთა შესევა: 2008 წლის სექტემბერში, 10 დღის განმავლობაში მეანაბრებმა 16 მლრდ. აშშ დოლარზე მეტი თანხა მოხსნეს, რამაც ბანკის გაკოტრების საფრთხე დააყენა. აშშ-ს კომერციული ბანკების კვალდაკვალ პრობლემები ევროპის ბანკებსაც შეექმნათ. ბანკთაშორისი ბაზრის გამოცოცხლების მიზნით რიგმა ევროპის სახელმწიფოებმა გამოყვეს 1,8 ტრილიონი დოლარი.

განხილული საბანკო კრიზისების უმეტეს შემთხვევაში, ამ კრიზისების წარმოქმნას საფუძვლად უდევს მსგავსი მიზეზები და თან სდევს ერთნაირი მაკროეკონომიკური ცვლილებები. კრიზისების მეტი წილი ყალიბდებოდა ფინანსური ლიბერალიზაციიდან რამოდენიმე წლის შემდგომ. ფინანსური ლიბერალიზაციის მოსდევდა საკრედიტო ბუმი, რომელსაც თან ახლდა „ბუშტების“ წარმოქმნის პროცესი. „ბუშტების“ წარმოქმნის ობიექტია უძრავი ქონების ბაზარი და შესაბამისად იწყება სამშენებლო სექტორის ბუმი. დაკრედიტების მოცულობის ზრდა წინ უსწრებს პრაქტიკულად ყველა საბანკო კრიზისს. ყველა საბანკო კრიზისს თან ახლდა დაკრედიტების რეალური მოცულობის შემცირება. გამონაკლისია კორეა, სადაც კრიზისს გაუმკლავდნენ სწრაფად და ჩილე, სადაც კრიზისის საწყის სტადიაზე დაკრედიტება ფორმალურად იზრდებოდა არსებული კრედიტების პროლონგაციის ხარჯზე. დაკრედიტების მოცულობის შემცირების მიზეზი არის როგორც ლიკვიდობის პრობლემები, ისე ბანკების ბალანსებზე პრობლემური აქტივების ზრდა. რაც შეეხება ბანკების გადარჩენისთვის მიღებულ ზომებს, როგორც გამოცდილება აჩვენებს, მათი წარმატება ეფუძნება არა მარტო შერჩეულ პოლიტიკას და მის სარეალიზაციოდ მიმართულ სახსრების მოცულობას, არამედ მისი პრაქტიკული შესრულების ხარისხსაც. მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ბანკების მდგომარეობის დროულ და რეალურ შეფასებას და მოსალოდნელი ზარალის სავარაუდო გათვლას.

დღესდღეობით კი განსხვავებული გამოწვევის წინაშეა სამყარო. მსოფლიო კრიზისის უახლესი გამოვლინებაა COVID-19 პანდემია, რომელმაც მოიცვა მთელი მსოფლიო. 2020 წელი გლობალური ეკონომიკისთვის საკმაოდ მძიმე ტვირთი აღმოჩნდა. COVID-19 პანდემიის დაწესებული შეზღუდვების გამო, ეკონომიკური და ბიზნეს საქმიანობა მნიშვნელოვნად შეფერხდა; საგანგებო მდგომარეობის და კარანტინის გამოცხადების შემდგომ, ერთობლივი მოთხოვნა მკვეთრად გაუარესდა; მოთხოვნა-მიწოდების ჯაჭვი და წარმოების პროცესი დაირღვა, რამაც ღრმა რეცესია გამოიწვია როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში; დასაქმებული პერსონალის უმეტესი ნაწილი კი დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადავიდა. თუმცა წლის მეორე ნახევარში, შეზღუდვების ეტაპობრივ მოხსნასთან დაკავშირებით, ეკონომიკური აქტივობის მცირედი გაუმჯობესება შეინიშნებოდა. ჯამში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემების მიხედვით, გლობალური ეკონომიკა 2020 წელს 3.3 პროცენტით შემცირდა, ხოლო ვირუსის გავრცელების ტემპების შენელების შემდგომ, მოსალოდნელია ეკონომიკური აქტივობის სტაბილურობა და 2021 წელს 6 პროცენტთან ზრდაა ნავარაუდები.

ევროზონასა და დიდ ბრიტანეთში, COVID-19-ის სწრაფი ტემპით გავრცელების გამო, სამრეწველო და ტურიზმის სექტორების საქმიანობა გაუარესდა, ხოლო საცალო გაყიდვები დაეცა. სავაჭრო პარტნიორების მხრიდან შემცირებული მოთხოვნის გამო, ექსპორტი და ინვესტიციების მოცულობა მკვეთრად შემცირდა. პანდემიის ფონზე, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა რაოდენობრივი შერბილება დაიწყო. ეკონომიკური აქტივობა ასევე მკვეთრად შემცირდა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაშიც, სადაც COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო ტურიზმის სექტორი გაუარესდა, ხოლო საწარმოების საქმიანობის დროებით შეჩერებასთან ერთად წარმოების მოცულობა და გაყიდვებიც დაეცა. ამ გარემოებას თან დაერთო 2020 წელს ნავთობის ფასების მკვეთრი ვარდნა. შედეგად, ექსპორტიც და ინვესტიციების

მოცულობაც შემცირდა. ასევე, მკვეთრად გაუარესდა როგორც სამომხმარებლო, ისე ბიზნეს განწყობები. ღრმა ეკონომიკური რეცესიის ფონზე, ცენტრალურმა ბანკებმა მონეტარული პოლიტიკის შერბილება დაიწყეს, რაც, ძირითადად, ეკონომიკის სტიმულირებისკენ იყო მიმართული. 2020 წლის პირველ ნახევარში, პანდემიის წინააღმდეგ დაწესებული შეზღუდვების გამო, აშშ-შიც რეკორდულად დაეცა ეკონომიკური აქტივობა, უმუშევრობის დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო კერძო მოხმარების და საცალო გაყიდვების მოცულობა შემცირდა. ასევე, ფირმების ფუნქციონირების შეჩერებასთან ერთად, სამრეწველო წარმოება გაუარესდა. თუმცა 2020 წლის მეორე ნახევარში ზრდის ტემპები მცირედ დასტაბილურდა, რაც, ძირითადად, პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების შერბილებით იყო გამოწვეული.

COVID-19-ის სწრაფი ტემპით გავრცელების ფონზე, ქვეყნების მასობრივ ჩაკეტვას და ეკონომიკის გაჩერებას საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებისთვისაც მძიმე შედეგები მოჰყვა, სადაც, გლობალური რეცესიის ფონზე, სამომხმარებლო და ბიზნეს განწყობები გაუარესდა. საზღვრების ჩაკეტვისა და საწარმოების დახურვის გამო საწარმოო და ტურიზმის სექტორიც გაუარესდა. ასევე მნიშვნელოვნად იკლო ექსპორტის და ინვესტიციების მოცულობამაც. 2020 წელი მძიმე აღმოჩნდა განვითარებული ეკონომიკებისთვისაც, მათ შორის ევროზონის ქვეყნებისთვის. გერმანიაში წარმოების პროცესი გაუარესდა და საცალო გაყიდვები მკვეთრად შემცირდა. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა იტალიის ქვეყანაც, რომელიც ერთ-ერთი პირველი იყო ევროპაში, სადაც COVID-19 სწრაფი ტემპით გავრცელდა. ყოველივე ამის შედეგად, იტალიის რეალური ეკონომიკა 2020 წელს 8.9 პროცენტით შემცირდა. პანდემიამ მნიშვნელოვნად დააზარალა საფრანგეთიც, სადაც ქვეყნის რამოდენიმეჯერ ჩაკეტვამ ეკონომიკის მძიმე შედეგები გამოიწვია. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, საფრანგეთის რეალური ეკონომიკა 2020 წელს 8.2 პროცენტით შემცირდა. რთული წელი იყო ესპანეთშიც, სადაც წლის განმავლობაში



ვირუსით ინფიცირების საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა, რასაც, სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი შეზღუდვები მოჰყვა. 2020 წლის დასაწყისში თურქეთში ეკონომიკური აქტივობის გაჯანსაღება შეიმჩნეოდა, თუმცა COVID-19 პანდემიამ სიტუაცია საპირისპიროდ შეცვალა. კრიტიკულად გაუარესდა როგორც შიდა, ასევე საგარეო მოთხოვნა. ვირუსის პრევენციული ღონისძიებებიდან გამომდინარე დაწესებულმა შეზღუდვებმა ეკონომიკური საქმიანობა მნიშვნელოვნად შეამცირა. საწარმოო და ტურიზმის სექტორები გაუარესდა, ისევე როგორც სამომხმარებლო განწყობა და ხარჯვის მოცულობამაც დაიკლო. 2009 წლის შემდეგ პირველად, ბიზნეს განწყობა ყველაზე დაბალ ნიშნულამდე დაეცა. შედეგად, ექსპორტის და ინვესტიციების მოცულობაც შემცირდა.

საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ცენტრალურმა ბანკებმა 2020 წლის განმავლობაში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთები რამოდენიმეჯერ შეამცირეს, რაც, გლობალური პანდემიით გამოწვეული კრიზისის ფონზე, შიდა მოთხოვნის წახალისებისკენ იყო მიმართული. გამონაკლისია მხოლოდ თურქეთი, სადაც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი დეკემბერში 17 პროცენტამდე გაიზარდა. რაც შეეხება ევროპის ცენტრალურ ბანკს, მან საპროცენტო განაკვეთი უცვლელად, 0 პროცენტზე დატოვა, თუმცა, პანდემიის უარყოფითი გავლენის შესამსუბუქებლად, ფართო რაოდენობრივი შერბილების პროგრამა განახორციელა, რაც მონეტარული პოლიტიკის შერბილებას უტოლდება.

Covid-19 პანდემიით გამოწვეული მსოფლიო კრიზისის გასაანალიზებლად გთავაზობთ ასევე გერმანიის საბანკო სექტორის მაგალითს, რომელიც განვითარებული ქვეყნების სიიდანაა და მყარი ფინანსური სექტორით გამოირჩევა. გერმანიის სახელმწიფომ კორონა - ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად თავიდანვე მკაცრი ზომები მიიღო, დიდი ხნის განმავლობაში დაიხურა ყველანაირი დაწესებულება, გარდა სასურსათო მაღაზიებისა, ბანკების, აფთიაქებისა და სამედიცინო დანიშნულების პუნქტებისა. სახელმწიფო კრიზისთან საბრძოლველად

ჩაერთო მრავალი სახის დახმარების პაკეტით. ბენეფიციარები იყვნენ არა მარტო უმუშევარი მოსახლეობა, საცალო ვაჭრობის წარმომადგენლები, სტუდენტები, არამედ ასევე ბანკებიც. კრიზისის პირველი ტალღის პირობებში ბანკებმა მიიღეს დახმარება, რომლითაც მათ შეძლეს მომხმარებლებისათვის 2020 წლის მარტიდან ივნისამდე პროცენტის გადახდის ვალდებულება გაეუქმებინათ. მას შემდეგ კი პროცენტის გადავადებისა თუ მისი შემცირების შესახებ მოლაპარაკებები უშუალოდ მომხმარებელსა და კრედიტორს შორის განხორციელდა. სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობის საკითხზე საუბრობს ჟურნალი WELT და აცხადებს, რომ კრიზისის მართვის პირობებში ბანკები ხშირად გადავადებას სთავაზობენ მათ მომხმარებლებს, თუმცა ამისთვის ხშირად დამატებით სამომსახურებო გადასახადს ითხოვენ, რაც მომხმარებლების უფლებების უხეში დარღვევაა. გერმანიის მაგალითზე ბანკები გვევლინებიან არა ძლიერ მხარედ, არამედ თავად დახმარების მიმღებ პირებად. დღის წესრიგში დადგა ბევრი კომპანიის გაკოტრების საკითხი. თუ ძალიან ბევრი კომპანია ერთდროულად შეწყვეტს გადახდას, ამ პროცესმა შეიძლება ბანკების გაკოტრებაც გამოიწვიოს. ბანკების ძირითადი მომხმარებლები არიან საცალო მოვაჭრეები, გასტრონომიული ობიექტები და თვითდასაქმებულები, რომლებიც განსაკუთრებით არიან პანდემიის შედეგებით დაზარალებული. ზემოთ აღნიშნული საკითხები არ უტოვებს ბანკებს მოქმედების თავისუფლებას, ისინი თავად იმყოფებიან კრიზისში, უწევთ ფილიალების დახურვა და თანამშრომლების შემცირება. თუმცა ეს რაღა თქმა უნდა არ ნიშნავს იმას, რომ ისინი წყვეტენ მათ მომხმარებლებზე ზრუნვას. თავის მხრივ ცდილობენ გაამარტივონ მომხმარებელთან ურთიერთობა და მოქნილი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალება შესთავაზონ მათ, თუმცა ელოდებიან სახელმწიფოსგან უფრო მეტ დახმარებას, ვინაიდან ისინი ეკონომიკის გულს და მაცოცხლებელ ძალას

წარმოადგენენ და ერთ-ერთ ძირითად ბერკეტს ფლობენ კრიზისების მართვის საკითხში.<sup>3</sup>

აღსანიშნავია, რომ პანდემიის გავლენის მასშტაბების შეფასება უკვე შესაძლებელია. შოკის გავლენა ფინანსურ სექტორზე დიდწილად უკვე ასახულია და COVID-19 რეგულაციებიც თითქმის სრულად მოიხსნა, თუმცა, კვლავ ნარჩუნდება მაღალი გაურკვეველობა პანდემიის დასრულების ვადებთან დაკავშირებით და დიდი ძალისხმევა სჭირდება მსოფლიოს გლობალური ეკონომიკის და ფინანსური სექტორის კრიზისის დასაძლევად.

---

<sup>3</sup> Kreditzahlung in der Coronakrise anpassen. 24. Februar 2021.

## თავი II

### კრიზისების გავლენა კომერციული ბანკების საქმიანობაზე და ანტიკრიზისული მენეჯმენტის სტრატეგიები

#### 2.1. საბანკო კრიზისების პროგნოზირება და საბანკო კრიზისების დაძლევის მეთოდები.

ეკონომიკურ ლიტერატურაში დეტალურადაა შესწავლილი საბანკო კრიზისების წარმოქმნის მექანიზმები და წინასწარი გამაფრთხილებელი ინდიკატორები. საბანკო კრიზისების პროგნოზირების მოდელები შემდეგ ხუთ ტიპად შეიძლება, რომ დაიყოს:

- **ტრადიციული მოდელები** - პოლიტიკა, რომელიც არ არის თავსებადი ვალუტის ფიქსირებულ კურსთან და დაკრედიტების მოცულობის გაზრდასთან. ფიქსირებულ სავალუტო კურსზე უარის თქმით ვითარდება სავალუტო და საბანკო კრიზისები.

- **პირველი თაობის მოდელები** - შეტევა სავალუტო კურსზე და სავალუტო კონტროლზე.

- **მეორე თაობის მოდელები** - სახელმწიფოს არაპროგნოზირებადი პოლიტიკის შედეგად ბაზრის მონაწილეები არაწრფივად იქცევიან. სპეკულანტების საქმიანობის წინასწარი პროგნოზირების შეუძლებლობის გამო სახელმწიფო ვერ იცავს სავალუტო კურსს შეტევებისგან და შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს საბანკო სექტორის მდგრადობას.

- **მესამე თაობის მოდელები** - მოიცავს სახელმწიფო პოლიტიკის „ფარული“ პრობლემების მქონე მოდელებს, რომლებიც წარმოიქმნება კერძო კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიების შედეგად: როგორც კი გარანტიების

მოცულობა გადააჭარბებს რეზერვების მოცულობას, წარმოიქმნება საბანკო კრიზისის განვითარების ალბათობა.

- **მეოთხე თაობის მოდელები** - მთავარი აქცენტი გადატანილია ფინანსური ბაზრის მონაწილეების აქტივების ხარისხზე. რაც ნაკლებია აქტივების ხარისხი, მით უფრო მაღალია საბანკო კრიზისის დადგომის შესაძლებლობა.

კვლევებით დგინდება, რომ მსოფლიო საპროცენტო განაკვეთი იწყებს ზრდას საბანკო კრიზისამდე დაახლოებით 2 წლით ადრე და აღწევს თავის მაქსიმუმს კრიზისის წინა ან უშუალოდ კრიზისის დადგომის წელს. რაც შეეხება მშპ-ს ზრდის ტემპებს, იგი ეცემა კრიზისის დადგომამდე წინა წლებში, მაგრამ არც ისე ძლიერად, როგორც საპროცენტო განაკვეთები. სტატისტიკის მიხედვით, სხვა გარე ცვლადები არ ახდენენ არსებით გავლენას საბანკო სექტორში კრიზისის დაწყების ალბათობაზე. საკრედიტო ბუმი და ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა არ შეიძლება ჩაითვალოს საბანკო კრიზისის გამაფრთხილებელ ინდიკატორად, ვინაიდან ისინი კი უსწრებენ საბანკო კრიზისს, მაგრამ მათი გაჩენა არ მეტყველებს საბანკო კრიზისის უახლოეს პერიოდში წარმოქმნის მაღალ ალბათობაზე.

საბანკო კრიზისების მრავალწლიანმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ კრიზისის დაძლევის წარმატებული პროგრამები მოიცავენ ორ ძირითად კომპონენტს. პირველ კომპონენტს წარმოადგენს პრობლემური აქტივების თავისდროული შეფასება და მათი დროული ჩამოწერისთვის ბანკებისათვის სტიმულების შექმნა, ხოლო მეორე კომპონენტია ბანკების რეკაპიტალიზაცია. ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე შეიძლება დამატებით საჭირო გახდეს სახელმწიფო გარანტიების მიცემა, ლიკვიდობის მიწოდების გაფართოება და მსესხებლების დავალიანების რესტრუქტურის პროცესის მხარდაჭერა.

საბანკო სისტემის სანაცის ფორმები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავდება. ქვეყნების ნაწილი ახდენდა ბანკების ნაციონალიზაციას,

გამოყოფდა ნაციონალიზებული ბანკებიდან პრობლემურ აქტივებს და მათი მართვის სახელმწიფო კომპანიებს ქმნიდა. ზოგიერთმა ქვეყანამ კი ბანკებიდან გამოისყიდა პრობლემური აქტივების ნაწილი (ზოგ შემთხვევაში უკუგამოსყიდვის პირობით), ხოლო შემდგომ მოახდინა კაპიტალის უკმარისობის კომპენსირება სახელმწიფო სახსრებით, რამაც ბანკების სრული ნაციონალიზაციის აუცილებლობა მოხსნა დღის წესრიგიდან. რიგ ქვეყნებში გამოიყენებოდა ჯერ პრობლემურ აქტივებზე გარანტიების მიცემის სქემა, რომლის ეფექტურობა სხვა მეთოდებთან შედარებით ჯერჯერობით პრაქტიკულად დადასტურებული არ არის. გლობალური გამოცდილება აჩვენებს, რომ ფინანსური კრიზისის დაძლევისათვის გამოყენებული კონკრეტული ინსტრუმენტების ნაკრები ნაკლებად მნიშვნელოვანია. უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად თანმიმდევრულია ანტიკრიზისული პოლიტიკა, რომელიც საშუალებას იძლევა შემდეგი ძირითადი პრინციპების რეალიზების: პრობლემური საკრედიტო ვალდებულებების აღიარება და მათგან ბანკების ბალანსის გაწმენდა რეკაპიტალიზაციის პროცესის პარალელურად.

პრაქტიკაში არსებობს საბანკო კრიზისების ნეგატიური შედეგების მინიმალიზაციის რამდენიმე მეთოდი. თეორიული მოდელები თითქმის იდენტურია, მაგრამ პრაქტიკაში მათი რეალიზაცია სხვადასხვა სახის სირთულეებს უკავშირდება. მსოფლიო პრაქტიკაში საბანკო კრიზისების დასაძლევად ძირითადად 3 მეთოდი გამოიყენება: ბანკების რეკაპიტალიზაცია სახელმწიფო სახსრებით; პრობლემური სესხების გამოსყიდვა სახელმწიფო სახსრებით; საბანკო აქტივებზე სახელმწიფოს მიერ გარანტიების გაცემა.

ყველაზე ფართოდ გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს ბანკების რეკაპიტალიზაცია სახელმწიფო სახსრების მეშვეობით. მიღებული სახსრები კრიზისში მყოფ ბანკებს შეუძლიათ გამოიყენონ პრობლემური სესხების ჩამოსაწერად. ასეთი მიდგომის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს წინაშე ორი მთავარი ამოცანა დგება:

- ობიექტურად შეაფასოს ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობა, კერძოდ, პრობლემური სესხების სიდიდე და კაპიტალზე ბანკების მოთხოვნა, ასევე გამოყოს მეტი პოტენციალის მქონე სიცოცხლისუნარიანი ბანკები კრიზისის დაძლევის პროგრამაში ჩასართველად;

- მიაღწიოს იმას, რომ კრიზისში მყოფმა ბანკებმა კეთილსინდისიერად გაწმინდონ საკუთარი ბალანსები პრობლემური აქტივებისგან.

მეორე, ასევე ფართოდ გავრცელებული მეთოდია პრობლემური სესხების გამოსყიდვა სახელმწიფო სახსრების მეშვეობით. ამ მიდგომის ძირითად პრობლემას წარმოადგენს ცუდ აქტივებზე ფასების სწორად განსაზღვრა. ამასთან ერთად, თუ ფასი ზედმეტად დაბალია, დამატებითი რეკაპიტალიზაციის საჭიროება ჩნდება.

მესამე მეთოდის არსი მდგომარეობს საბანკო აქტივებზე სახელმწიფო გარანტიების მიცემაში, რომლის მიხედვით ზარალი იყოფა სახელმწიფოსა და ბანკს შორის გარკვეული პროპორციით. როგორც სესხების შესყიდვის შემთხვევაში, აქაც ცუდი აქტივების და გარანტიების ღირებულების შეფასების პრობლემა დგება. ასეთი მიდგომისას ჩნდება ალბათობა, რომ ბანკებმა არ გამოიჩინონ სათანადო ძალისხმევა პრობლემურ აქტივებთან მუშაობისას და ისარგებლონ სახელმწიფოს მიერ ზარალის კომპენსირების პროგრამით.

გარდა ზემოთნახსენები მეთოდებისა, საბანკო კრიზისის დაძლევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა ზომებიც, როგორებიცაა, მაგალითად, ბანკების დაყოფა კარგ და ცუდი რეიტინგის ბანკებად და მხოლოდ კარგი ბანკების შემდგომი რეკაპიტალიზაცია; სახელმწიფოს მიერ პრობლემური სესხების გამოსყიდვა რამდენიმე წლის შემდეგ მათი უკუგამოსყიდვის პირობით - ამ დროს პრობლემური აქტივები ბანკების მართვის ქვეშ რჩება. საბანკო კრიზისების ლიკვიდაციის პოლიტიკა ხშირად ასევე მოიცავს დეპოზიტებზე სახელმწიფო გარანტიების ზრდას, რაც აუცილებელია იმ შემთხვევაში, როცა ჩნდება მეანაბრეთა პანიკური განწყობები. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ბანკის იმ მოვალეების დავალიანების

რესტრუქტურიზაცია, რომელთა სავალო წნეხი განსაკუთრებით მაღალი აღმოჩნდა.

სისტემური საბანკო კრიზისის შემთხვევაში სახელმწიფოს ძირითადი ამოცანებია საბანკო სისტემის მიმართ ნდობის აღდგენა, პრობლემური სესხების პრობლემის გადაწყვეტა და დაკრედიტების პროცესის აღდგენა. ამასთან ერთად, ზემოაღნიშნული გამოცდილებიდან საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება დასახელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- მომავალი დანაკარგების სწრაფი და დროული შეფასება მოვლენების განვითარების სტრესული სცენარების გამოყენებით;
- ბანკებისთვის სტიმულის შექმნა, რათა მოკლე ვადაში შეძლონ ბალანსების გაწმენდა პრობლემური აქტივებისგან და რეკაპიტალიზაცია სახელმწიფო და კერძო სახსრების მეშვეობით;
- საჭიროების მიხედვით სახელმწიფო გარანტიების გაფართოება პანიკის თავიდან ასაცილებლად და მსესხებლების სესხების რესტრუქტურიზაციის პროგრამების შექმნა.

ბანკების სანაციის პროგრამები ხშირად დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და საკმაოდ ძვირადღირებულია. ხარჯები მეტად იზრდება, როდესაც ბანკებში შექმნილი პრობლემების გადაწყვეტა მომავლისათვის გადაიდება. რეგულაციების ნორმების შესუსტება და პრობლემური სესხების პროლონგირება ასეთ შემთხვევაში იწვევენ საბანკო სექტორის პარალიზებას და მომავალი ზარალის დაგროვებას უწყობენ ხელს. გაცილებით უფრო ეფექტურია პრობლემური ვალის სწრაფად აღიარება და ბანკების სტიმულირება მათგან ბალანსების გაწმენდის მიზნით.

საბანკო სისტემის გადარჩენის ზემოაღნიშნული ეპიზოდების შეფასებიდან გამომდინარე შეიძლება ჩამოყალიბდეს კრიზისულ სიტუაციაში სახელმწიფოს ქმედების სამი ტიპი:

ტიპი 1. სკანდინავიის ქვეყნები 1990-იანი წლების დასაწყისში. გარდა ნორვეგიისა და შვეციის კრიზისისა, ამ ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნოს 1991



წლის მსგავსი კრიზისი ფინეთში. ყველა ქვეყანაში კრიზისიდან გამოსვლის სტრატეგია უმსხვილესი ბანკების ნაციონალიზაციას მოიცავდა, რომელიც აღმოჩნდა საკმაოდ ეფექტური კრიზისიდან გამოსვლის სიჩქარისა და ხარჯების სიდიდის კუთხით. გარდა ნაციონალიზაციის პოლიტიკისა, შვეციასა და ფინეთში შეიქმნა კამპანიები პრობლემურ აქტივებთან სამუშაოდ და შემოიღეს გარანტიები საბანკო ვალდებულებების მიხედვით. მაგრამ ყველაზე ეფექტური სტრატეგია ზარალის სწრაფ და რეალურ შეფასებაში მდგომარეობდა, რომლის მეშვეობით პრობლემა ადრეულ სტადიაზე გამოვლინდა, ხოლო საბანკო სექტორის მიმართ ნდობა სწრაფად აღდგა.

ტიპი 2. ჩილე და კორეა. განხილული კრიზისების მსვლელობის დროს, ცუდი ვალების პრობლემა უფრო მწვავედ იდგა, ვიდრე სკანდინავიის ქვეყნების შემთხვევაში. ამიტომ ბანკებისთვის სტიმულირების პრინციპის განხორციელება, რომელიც გაწმენდა ბალანსებს პრობლემური აქტივებისგან, იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კრიზისიდან გამოსვლის პროგრამის შემუშავებისას. განხილული ეპიზოდებიდან ამას წარმატებით თავი მხოლოდ ჩილემ და კორეამ გაართვა. ჩილემ მოახერხა ბანკების ნაციონალიზაციის თავიდან აცილება, შეინარჩუნა ბანკების გადახდისუნარიანობა და შეუქმნა მათ სტიმული ცუდი ვალების გამოსამჟღავნებლად და მათთან მუშაობისათვის პრობლემური სესხების ნომინალური ღირებულებით გამოსყიდვის პროგრამა შეიმუშავა. მაგრამ ჩილეს კრიზისიდან გამოსვლის ხარჯები საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა. გარდა მსესხებლების მხარდაჭერაზე გაწეული დიდი დანახარჯებისა, ჩილე პირველ პრინციპს ასრულებდა სანახევროდ. რეალური შეფასება მოხდა დაგვიანებით და პროგრამამ მოქმედება დაიწყო მას შემდეგ, რაც ბანკებმა დიდი ოდენობის ცუდი სესხები დააგროვეს.

კორეა კი ცუდი აქტივების პრობლემას გაუმკლავდა სანახევროდ და მოახდინა ბანკების ნაციონალიზაცია. განსხვავებით ჩილესგან, კორეა ცუდ ვალებს საბალანსო ღირებულებასთან შედარებით უფრო დაბალი ფასით

ყიდულობდა, რამაც საფუძველი ჩაუყარა ცუდი ვალების კერძო ბაზრის წარმოქმნას. კაპიტალის დეფიციტის შევსება მოხდა რეკაპიტალიზაციის გზით სახელმწიფო სახსრების ხარჯზე. ბანკის სიცოცხლისუნარიანობის განსაზღვრისას კორეაში გამოიყენებოდა სპეციალურად შემუშავებული სქემა და რამდენიმე კომისიის აზრი გაითვალისწინებოდა. ამასთან, გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდა დაუყოვნებლად და ერთდროულად. ყოველივე ამან განაპირობა კრიზისიდან უფრო სწრაფად და იაფად გამოსვლა, ვიდრე ეს მოხდა ჩილეში.

ტიპი 3. მექსიკა, იაპონია, ინდონეზია, არგენტინა. აღნიშნულ ქვეყნებში კრიზისიდან გამოსვლის პოლიტიკა იყო წარუმატებელი. ამის მიზეზი იყო კრიზისის დაძლევის პრინციპების უგულვებელყოფა და ზოგ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისიც. ამ ქვეყნებმა ან საერთოდ ვერ შეძლეს მოემბნათ ცუდი ვალების მოცილების ეფექტური ინსტრუმენტები, ან ეს გააკეთეს საკმაოდ გვიან. კრიზისის შემდეგ ამ ქვეყნების საბანკო სექტორი დიდი ხნის განმავლობაში იყო კიდევ დასუსტებული, ხოლო ეკონომიკური ზრდა მხოლოდ საგარეო ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების შემდეგ განახლდა.

2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაძლევის გზები ასევე განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნებისათვის. ზოგადად ქვეყნების ანტიკრიზისული ღონისძიებები ოთხ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

**საბანკო სისტემის გადარჩენა** - მთავარი ამოცანა საბანკო პანიკისა და ეროვნული საბანკო-საკრედიტო სისტემების დესტაბილიზაციის თავიდან აცილებაში მდგომარეობს. შესაბამისი ღონისძიებები მოიცავენ: ბანკების რეკაპიტალიზაციას; სასტაბილიზაციო კრედიტების გაცემას; საბანკო სისტემის რესტრუქტურისაციას, მათ შორის ბანკების გაერთიანების ხელშეწყობას და მათ ნაციონალიზაციას; რეფინანსირების განაკვეთის თითქმის ნულამდე შემცირებას; გარანტიების 100%-მდე გაზრდას ფიზიკური პირების ბანკში განთავსებულ ანაბრებზე; ბანკების ბალანსების გაწმენდას პრობლემური აქტივებისგან და შესაბამისი გარანტიების გაცემას;

**ფულად - საკრედიტო პოლიტიკის ღონისძიებები** - ანტიინფლაციური პოლიტიკიდან მასტიმულირებელ პოლიტიკაზე გადასვლა, რომლის მიზნებს წარმოადგენს: ეკონომიკური ზრდის სტიმულაცია და საკრედიტო რესურსებისადმი წვდომის გაფართოება; შიდა ბაზრის სტაბილიზაცია; საგადასახადო ბალანსის სტაბილურობა და ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტურობის ამაღლება.

**რეალური სექტორის მხარდაჭერა** - მოიცავს შიდა მოთხოვნაზე ორიენტირებულ და შიდა დასაქმების უზრუნველყოფ დარგების მხარდაჭერას. შესაბამისი ღონისძიებები მოიცავს: ცალკეული დარგების მხარდაჭერას; გადასახადების შემცირებას; მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას; სპეციალური საბიუჯეტო ფონდების შექმნას;

**მოსახლეობის მხარდაჭერა** - შესაბამისი ღონისძიებები მოიცავს მოსახლეობის ბანკებიდან გაქცევის არდაშვებას და დანაზოგის სტიმულირებას: ანაბრებზე გარანტირებული თანხის ზრდას; 100%-იან გარანტიებს ანაბრებზე; საპენსიო ფონდების ნაციონალიზაციას; ბიზნესთან შეთანხმების მიღწევას სამუშაო ადგილების შეუმცირებლობის თაობაზე; განათლებაში ინვესტიციების ზრდას.

## **2.2. საბანკო რეგულაციების მიმოხილვა და მისი როლი საბანკო კრიზისების მართვაში.**

საქართველოში კომერციული ბანკების რეგულირებას სრულად ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი. კომერციული ბანკები საკუთარი ძალებით მართავენ რისკებს, რომელიც ეფუძნება რისკების მართვის ერთიან ინტეგრირებულ სისტემას. ბევრი ქვეყნის საბანკო სექტორის განსაკუთრებული ყურადღება მიმართულია საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიერ შემოთავაზებულ რეგულირების მექანიზმებზე, რომლის განხორციელება ქვეყნის ცენტრალურ ბანკებს აკისრიათ და ამასთან, მის შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ კომერციულ ბანკებს. ბაზელის კომიტეტის

მიერ შემუშავებული სტანდარტები არ არის გათვალისწინებული განვითარებადი ქვეყნებისთვის და შესაბამისად მოცემული სტანდარტის სრულად გათვალისწინება არ არის მისაღები საქართველოს საბანკო სექტორისთვის. თუმცა, ეროვნული ბანკის ძირითადი რეგულირებები და მოთხოვნები ეფუძნება ბაზელის კომიტეტის მიერ შემუშავებულ სტანდარტებს.

ეროვნული ბანკის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კომერციული ბანკებისა და სხვა საფინანსო სისტემის საქმიანობის კონტროლი. გამომდინარე იქედან, რომ ეროვნული ბანკის ამოცანები და ფუნქციები მრავალფეროვანია, რეგულირება კომერციული ბანკების მიმართ სხვადასხვა მიმართულებით ვრცელდება. მისი მიზანია მონიტორინგი გაუწიოს კომერციულ ბანკებს, ხელი შეუწყოს საფინანსო სექტორის ფინანსურ მდგრადობასა და გამჭვირვალობას, დაიცვას საბანკო სექტორის მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებები საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სტანდარტების მიხედვით. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გამოსცეს შესაბამისი დადგენილებები, ბრძანებები, და დააწესოს შესაბამისი სანქციები. ეროვნულ ბანკს აქვს უფლება გასცეს ლიცენზიები, გააუქმოს, შეამოწმოს, არეგულიროს, დააწესოს შეზღუდვები და სანქციები საჭიროებისამებრ. იგი უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია კომერციული ბანკის კაპიტალის წარმოშობის წყაროებისა და მისი ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ. აღნიშნული კანონი მნიშვნელოვანია, რადგან ცენტრალური ბანკის მხრიდან კონტროლი ზრდის მომხმარებელთა სანდოობას, რაც საბოლოო ჯამში აისახება ბანკის შემოსავლებსა და წარმატებაზე. ეს უკანასკნელი შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც რეპუტაციული რისკისგან წინასწარ დაზღვევის მეთოდი. შესაბამისად, ეროვნული ბანკი ვალდებულია მიიღოს პრევენციული ღონისძიებები და მსგავსი შემთხვევები არ დაუშვას საბანკო სექტორში.

კომერციული ბანკის ლიკვიდობასთან და მის გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებით ეროვნულ ბანკს აქვს უფლება კონკრეტულ ბანკს გაუზარდოს სავალდებულო რეზერვების ნორმები, შეუწყვიტოს აქტიური ოპერაციები, აუკრძალოს მოგების განაწილება, დივიდენდების დარიცხვა და გაცემა, ხელფასების გაზრდა, მოითხოვოს დამატებითი კაპიტალის მოზიდვა, გაუზარდოს აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების შესაძლო დანაკარგების რეზერვების დაწესებული ნორმები.

საბანკო სისტემის რისკების რეგულირების მექანიზმები მრავლად არის წარმოდგენილი და ისინი ერთობლივად მოქმედებენ. ერთ-ერთი ასეთი მექანიზმი არის ბანკის კაპიტალის მოთხოვნა. ბანკის კაპიტალის რეგულირების არსს წარმოადგენს დეპოზიტარების ინტერესების დაცვა და ბანკის ფინანსური სტაბილურობის გარანტია, რათა მას გააჩნდეს რისკის შესაბამისი ფინანსური ლიკვიდურობა და ჰქონდეს საკმარისი კაპიტალი კრიზისული სიტუაციის დასაძლევად.<sup>4</sup>

კომერციული ბანკის კაპიტალი ბანკისათვის წარმოადგენს საბანკო საქმიანობის განხორციელებისა და მისი სტაბილური ზრდის, საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის საშუალებას, ბანკის ფინანსური დანაკარგებისა და ზარალის დაფარვის მთავარ წყაროს. ბანკის კაპიტალი საშუალებას იძლევა დაწესებულებამ გააფართოვოს საბანკო ოპერაციები და ამასთან ერთად, გაუმკლავდეს მოსალოდნელ და მოულოდნელ ფინანსურ ზარალს. საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირებისა და სისტემური რისკების შემცირების მიზნით, ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულია კომერციული ბანკებისა და უცხოური კომერციული ბანკების ფილიალებისთვის მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის ოდენობა, რომელიც 12 მილიონ ლარს

---

<sup>4</sup> ღურწყაია, ვ. სადისერტაციო ნაშრომი საბანკო რეგულირების გავლენა საბანკო კრიზისსა და კომერციული ბანკების ფინანსურ მაჩვენებლებზე. თბილისი 2018. საქართველოს უნივერსიტეტი.

შეადგენს. აღნიშნული ნორმა დადგენილია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონის მიხედვით. საქმიანობის დაწყებამდე ბანკს უნდა გააჩნდეს მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი. ბანკის საზედამხედველო კაპიტალის მაჩვენებელი გვიჩვენებს, თუ რამდენად შეუძლია კომერციულ ბანკს გაუმკლავდეს საკრედიტო, საოპერაციო რისკებს და რამდენადაა შემცირებული მენაბრეთა დანაკარგების რისკი. აღსანიშნავია, რომ ბანკის გაფართოებასთან ერთად, როდესაც იზრდება მისი მთლიანი აქტივების მოცულობა, იზრდება კაპიტალის მინიმალური მოთხოვნებიც. კომერციულმა ბანკებმა მუდმივად უნდა შეინარჩუნონ ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული კაპიტალის ადეკვატურობა, რომლებიც განისაზღვრება პირველადი კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტებით და შესაბამისად შეადგენს 8 პროცენტს და 12 პროცენტს.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი პერიოდულად გამოსცემს ბრძანებას რისკების მართვის თაობაზე. ერთ-ერთ ასეთ ძირითად კანონს წარმოადგენს „კომერციული ბანკების რისკების შეფასების საერთო პროგრამის მოქმედების წესის დამტკიცების თაობაზე“ (ბრძანება №32/04 2014 წლის 27 მარტი), რომელიც კომერციული ბანკებისთვის რისკის მართვის შიდა მექანიზმების დამხმარება დოკუმენტია და მასში წარმოდგენილია რისკის მართვისთვის წაყენებული მოთხოვნები. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, საბანკო სფეროს რეგულირებისათვის დადგენილია რისკის შემდეგი ძირითადი სახეები: საკრედიტო რისკი, საბაზრო და საპროცენტო რისკები, ლიკვიდობის რისკი, საოპერაციო რისკი, რეპუტაციის რისკი, სამართლებრივი რისკი, სტრატეგიული რისკი და შესაბამისობის რისკი. ეროვნული ბანკის მიერ გამოცემულ დებულებაში კომერციულ ბანკებში რისკის მართვის თაობაზე, საკმაოდ დეტალურადაა მოცემული თითოეული რისკის არსი და მათი მართვის გზები. წესები კომერციული ბანკების მიერ რისკების ეფექტურად მართვისა და

გაკონტროლების მიზნით შეიქმნა, რაც ხელს უწყობს ბანკის მენეჯმენტს დროულად აღმოფხვრას შესაძლო ფინანსური დანაკარგები და მისი უარყოფითი გავლენა ბანკის კაპიტალზე.

საბანკო რისკებიდან ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რისკს საკრედიტო რისკი წარმოადგენს. **საკრედიტო რისკს** შეიძლება თამამად ვუწოდოთ ბანკების „მთავარი რისკი“. იგი პარტნიორის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობით ან გაკოტრებით გამოწვეული რისკია. საკრედიტო რისკი გულისხმობს გაცემული კრედიტების დაუბრუნებლობის რისკს, თუმცა, მასში შედის ბანკების კლიენტებთან ურთიერთობის სხვა მხარეც - სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობა, დოკუმენტური ოპერაციები და სხვა. ამ რისკს კავშირი აქვს როგორც დაკრედიტებასთან, ისე სხვა ფინანსურ ოპერაციებთანაც, რომლებიც ბანკის ბალანსში ან ბალანსგარეშე აღრიცხვაში ჰპოვებს ასახვას. ერთ კლიენტზე დიდი მოცულობის კრედიტის გაცემა - საკრედიტო რისკის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. მსხვილი კრედიტების გაცემის დროს ყალიბდება მზარდი რისკი, როდესაც კრედიტები გაიცემა იმ იურიდიულ ან ფიზიკურ პირებზე, რომლებსაც გააჩნიათ უნარი ბანკის პირდაპირ ან ირიბად გაკონტროლების. საკრედიტო რისკების მართვის პროცესი მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს, რადგან მის ხარისხზეა დამოკიდებული ბანკის მუშაობის წარმატება და ფინანსური დანაკარგების თავიდან აცილება.<sup>5</sup>

მეორე ძირითადი რისკი, რომლის მართვასაც მოითხოვს ეროვნული ბანკი არის საბაზრო და საპროცენტო რისკები. საკრედიტო რისკის მსგავსად, ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს უყენებს მოთხოვნებს საბაზრო და საპროცენტო რისკების დადგენის, შეფასების, მონიტორინგის, მართვისა და კონტროლის შიდა მექანიზმების მხრივაც. ბანკს მოეთხოვება ზუსტად დაადგინოს საპროცენტო რისკი აქტივების, ოპერაციების და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით, როგორც კონკრეტულ ბიზნესში

<sup>5</sup> კოვზანაძე, ი. კონტრიძე, გ. თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. თბილისი. 2014.

ისე მთლიანად ბანკის საქმიანობაში. იგი რეგულირდება 2020 წლის 12 მარტის ბრძანებით (ბრძანება N 42/04) „საბანკო წიგნის საპროცენტო რისკის მართვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, რომელიც 2020 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა. კანონის მიხედვით, ბანკმა მუდმივად უნდა შეაფასოს საპროცენტო რისკი და ეროვნული ბანკს მისი მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს შესაბამისი ანალიზი.

ეროვნული ბანკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა, ბანკს გააჩნდეს წერილობით შემუშავებული ერთობლივი გეგმა და ბიზნეს-გეგმა, რომელიც არ უნდა იყოს 3 წელზე ნაკლები ვადის. ეროვნული ბანკის რეგულაციებით, ბიზნეს გეგმა უნდა მოიცავდეს ალტერნატიულ გეგმებსაც, რადგან მზად იყოს ბანკი იმ შესაძლო ცვლილებებისადმი, რომელიც დღევანდელ ბიზნეს გარემოს ახასიათებს და ფინანსური ან სისტემური საბანკო კრიზისების დადგომის შემთხვევაში ბანკს სავალალო შედეგები თავიდან ააცილოს.

ამრიგად, ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციებზე დაფუძნებული ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული მოთხოვნები, რომლებიც წარმოადგენს საბანკო სისტემის რისკების რეგულირების მთავარ მექანიზმს და გავლენას ჰპოვებს საბანკო სექტორის ძირითად საქმიანობაზე მდგომარეობს შემდეგში:

1. ბანკების შექმნისთვის აუცილებელი კაპიტალის მინიმალური დონის დაწესება;
2. მოთხოვნები კაპიტალის საკმარისობის და სტრუქტურის მიმართ;
3. შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სამსახურების საქმიანობისადმი მოთხოვნები;
4. ბანკის საერთო რისკებისა და ფინანსური მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციის საჯაროობა;
5. რისკების რაოდენობრივი შეფასების მეთოდების მიმართ ნორმატიული მოთხოვნები;



6. ბანკის სარეზერვო ფონდის მიმართ მოთხოვნები; აგრეთვე, ბანკის მართვასა და საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნები;

7. სანქციები და ჯარიმები საქართველოს ცენტრალური ბანკის მიერ წაყენებული მოთხოვნების, წესებისა და ნორმატიული აქტების შეუსრულებლობის გამო;

კვლევების შედეგად დგინდება, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულირების მექანიზმები სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, კერძოდ ბაზელ სამის მოთხოვნებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბაზელ სამის კრიტიკოსების რეკომენდაცია, რომ ბაზელ სამის დანერგვა განვითარებადი ქვეყნებისთვის მიზანშეწონილი არაა გათვალისწინებულია სეზ-ის რეგულირებაშიც. საქართველოს შემთხვევაში რეგულაცია არის უფრო გამკაცრებული, ვინაიდან განვითარებადი ქვეყანაა. კერძოდ, ლიკვიდურობის ახალი მოთხოვნები ბევრად მკაცრია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. უნდა აღინიშნოს, რომ ბაზელ სამთან მიახლოებას ბანკის წარმომადგენლები დადებითად აფასებენ, რადგან გრძელვადიან პერსპექტივაში რისკების და კრიზისების მართვის კუთხით მომგებიანია კომერციული ბანკებისთვის.

### **2.3. საბანკო კრიზისების შედეგები.**

საბანკო კრიზისები ხშირად ეკონომიკურ კრიზისებს ემთხვევა, რომელიც აუარესებს სხვადასხვა ფორმის ბალანსებს. აღნიშნული გარემოება თავის მხრივ, ამძიმებს სააგენტოს პრობლემებს და სხვა ფინანსური უთანხმოებებს, შედეგად კი, ყველა ბანკი ამცირებს დაკრედიტების მოცულობას. საბანკო კრიზისი, შედარებით უფრო დიდ რეალურ ეფექტს იძლევა განვითარებად ქვეყნებზე, სადაც კაპიტალის ბაზრები ნაკლებად არის განვითარებული და მთავრობისთვის უფრო რთულია ფინანსური მხარდაჭერის გაწევა პრობლემური ბანკების მიმართ.

საბანკო კრიზისი გულისხმობს ძირითადი ბანკების ფულის ფორმირების სიმცირეს (ლიკვიდურობა). მძიმე საბანკო კრიზისისას (მაგ. დიდი დეპრესია 1929-1932 წწ.), ზოგიერთ ბანკს მოუწია ბიზნესიდან გასვლა. თუ ბანკები ლიკვიდურობის დეფიციტის ან უარესის წინაშე აღმოჩნდებიან, მათ მოუწევთ დიდი გავლენის მოხდენა დეპოზიტარებზე, ბიზნესსა და მომხმარებლებზე. სისტემური საბანკო კრიზისი უცვლელად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე და შეიძლება უმუშევრობა გამოიწვიოს. 2008 წლის საბანკო კრიზისისას, ბანკებმა შეაცმირეს დაკრედიტება. ეს იმას ნიშნავს, რომ ფირმებს არ აქვთ სახსრები, ინვესტიციების დასაფინანსებლად. ქვემოთ მოცემულია ძირითადი შედეგები, რომლებსაც საბანკო კრიზისები იწვევენ:

**საინვესტიციო თანხების შემცირება:** თუ ბანკებს აქვთ ფულადი სახსრების ლიკვიდურობის სიმცირე, მათ ნაკლებად უნდათ, რომ გასცენ სესხი ფირმებსა და მომხმარებლებზე. ფირმებს, რომელთაც სურვილი აქვთ ისესხონ თანხა ინვესტიციებისთვის, ძალიან რთულად შეიძლება მიიჩნიონ, რომ მათთვის მისაღები პირობებით აიღონ სესხი. შედეგად, ფირმა საინვესტიციო საქმიანობას შეამცირებს. თუ საინვესტიციო დონე მნიშვნელოვნად დაეცა, მაშინ ეს გამოიწვევს ეკონომიკური ზრდის შემცირებას და უმუშევრობის მაჩვენებლის ზრდას. საინვესტიციო ანგარიშები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ საქმიანობაზე.

**უარყოფითი მულტიპლიკატორის ეფექტი:** ინვესტიციებს ახასიათებს ციკლურობა. საინვესტიციო დონის დაცემა იწვევს ეკონომიკური ზრდის შემცირებას, მაგრამ ამ დაცემის ზრდას „კაკუნის ეფექტი“ აქვს. რადგან არის ეკონომიკური ზრდის უკუსვლა, შედეგად გამოწვეულია სამუშაო დანაკარგები სხვა სექტორებში, მაგალითად, როგორცაა საცალო სექტორი - რომელიც აღმოჩნდება მოთხოვნის ზოგადი შემცირების პირისპირ.

**ნდობა:** ნებისმიერ საბანკო კრიზისს აქვს გავლენა მთლიან ეკონომიკურ ნდობაზე. ახალი ამბები საბანკო კრიზისზე, მიდრეკილია იმისკენ, რომ ადამიანებმა თავიდან აირიდონ არასასურველი რისკები.

მომხმარებელს ურჩევნია გაზარდოს დანაზოგი და შეამციროს დანახარჯები. თუ მომხმარებელს გაუჩნდა შიში ბანკში დანაზოგების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ისინი გადაერთვებიან ნაღდი ფულის დაზოგვაზე და არ განათავსებენ ბანკში ფულს. 2008 წლის საბანკო კრიზისის დასაწყისში, მკვეთრად დაეცა სამომხმარებლო ნდობა, რომელმაც შეამცირა რეალური მშპ. როგორც კი სამომხმარებლო ნდობა მცირდება, ისინი ამცირებენ ხარჯებს და იკლებს საქონელზე მოთხოვნა. იმის გამო, რომ ფირმები აწარმოებენ ნაკლებ პროდუქციას, ისინი ცდილობენ შეამცირონ ხარჯები და ფაქტზე რეაგირებენ სამუშაო ადგილების შემცირებით. ასევე ფირმებს შეიძლება მოუწიოთ ბიზნესიდან გასვლა, რაც იწვევს მნიშვნელოვან უმუშევრობას.

**უმუშევრობა:** საბანკო კრიზისის შედეგად გამოწვეული უმუშევრობა, ეს არის უმუშევრობა, რომელიც გამოწვეულია ინვესტიციებისა და სამომხმარებლო ხარჯების შემცირებით და შემოდგომში ერთობლივი მოთხოვნის დაცემით. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში შემცირდა სამუშაო ადგილები ფინანსურ სექტორში, ხარჯების შემცირების მიზნით. მაგრამ, ყველაზე მეტად უმუშევრობა გაიზარდა სხვა სექტორებში. სექტორებში, რომლებზეც ირიბად იქონია გავლენა საბანკო კრიზისმა.

საბანკო კრიზისის დრამატული უარყოფითი გავლენა აქვს საერთო ეკონომიკაზე, რის გამოც ხშირად ეკონომიკურ სისტემაში ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი ყალიბდება. საბანკო კრიზისს აქვს მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგების ფართო სპექტრი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მსოფლიო მასშტაბით, რაც ხაზს უსვამს ცუდ სახელმწიფოებრივ რეგულირებას.

**შიდა შედეგები:** ქვეყნის შიგნით, საბანკო სისტემის წარუმატებლობა ქმნის უარყოფითი შედეგების სპექტრს ეკონომიკური პერსპექტივის კუთხით. საბანკო კრიზისებს თან ახლავს სხვადასხვა საწინააღმდეგო ინდივიდუალური და ეკონომიკური შედეგები. როდესაც ბანკებს აქვთ ლიკვიდურობის ნაკლებობა ინვესტირების დროს, ბიზნესი, რომელიც

დამოკიდებულია სესხებზე, იბრძოლებს საჭირო კაპიტალის მოზიდვაზე, რათა შესრულდეს მათი დაგეგმილი ოპერაციები. როდესაც აღნიშნული ბიზნესი ვერ აწარმოებს კაპიტალის საჭირო ოდენობას, მოქმედებს ოპტიმალურად, გაყიდვები მცირდება და ფასები იმატებს. საერთო ეკონომიკური მდგომარეობა ნებისმიერ ვალზე დამოკიდებულ მრეწველობაში ხდება ნაკლებად საიმედო. შესაბამისად, მცირდება მომხმარებელი და ინვესტორთა ნდობა ამცირებს საერთო ეკონომიკურ ნაწარმს. ბანკებსაც არასაიმედო მდგომარეობა აქვთ, იმის გამო, რომ მათ ნაკლები კაპიტალი გააჩნიათ ინვესტირებისთვის და ამონაგები, რომ შეიძინონ. ზემოთ აღნიშნული გარემოება, საერთო ეკონომიკურ სისტემას წევს დაბლა, როგორც მოკლევადიან ისე გრძელვადიან პერიოდში. ლიკვიდურობის და ინვესტიციების შემცირება ზრდის უმუშევრობის დონეს, ამცირებს სამთავრობო საგადასახადო შემოსავლებს, ამცირებს ინვესტორებს და სამომხმარებლო ნდობას. ასევე აზიანების ფასიანი ქაღალდების ბაზრებს, რაც თავის მხრივ ბიზნესისთვის დამატებით შეზღუდვას წარმოადგენს კაპიტალის ხელმისაწვდომობის კუთხით. არსებობს გამორჩეული ციკლურობა ბუნებაში, თითოეული მათგანი ერთმანეთთან არის დაკავშირებული და ქმნის „დომინოს ეფექტს“ შიდა ეკონომიკური სისტემის მასშტაბით.

გლობალური შედეგები: იმპორტი და ექსპორტი თამაშობს დიდ როლს ყველაზე განვითარებული ეკონომიკის სიჯანსაღეში, და შედეგად, სავაჭრო პარტნიორები თამაშობენ კრიტიკულ როლს შიდა ეკონომიკის წარმატებაში. ამის ნათელი მაგალითია, აშშ-ს (და ნაწილობრივ, ევროპის) საბანკო კატასტროფები 2008 და 2009 წელს, რომელმაც სრული გლობალური ფინანსური კრიზისი გამოიწვია. კაპიტალის, ბიზნესის და სამთავრობო საგადასახადო შემოსავლების შიდა შემცირებამ საბოლოო ჯამში გამოიწვია სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობის შემცირება სხვა ქვეყნების ეკონომიკაშიც.

ამგვარად, ფინანსური კრიზისი არ შეიძლება იყოს გამოწვეული მხოლოდ ერთი ქვეყნისა თუ მონაწილის მხარიდან, არამედ არსებობს ფაქტორები, რომლებიც მასზე ახდენენ ზეგავლენას. თუმცა, ფაქტორები ყველა კრიზისისთვის ერთი და იგივე არ არის და ამასთან, კრიზისი მულტიფაქტორულია. ყოველ კრიზისს, ინდივიდუალური გამომწვევი ფაქტორი გააჩნია და კრიზისის შედეგებიც მრავალმხრივია.

### თავი III

#### საბანკო ბიზნესის ანტიკრიზისული მენეჯმენტი COVID-19


#### პანდემიის პირობებში

##### 3.1. COVID-19 პანდემიის გავლენა საბანკო სექტორის საქმიანობაზე.

გლობალურ სამყაროში და მათ შორის საქართველოშიც 2020 წელი საბანკო სექტორისთვის დიდ გამოწვევად იქცა. კომერციულ ბანკებს მოუწიათ მცირე დროში არაერთი რთული, მაგრამ საჭირო გადაწყვეტილების მიღება, რათა ახალ რეალობასთან მოეხდინათ ადაპტირება.

საბანკო სექტორისთვის 2020 წელი საკმაოდ რთული აღმოჩნდა. სხვა ბიზნესებისგან განსხვავებით მათ არ მოუწიათ საქმიანობის შეჩერება, თუმცა მხოლოდ სამუშაო ნაწილში. სესხების სამ ეტაპიანი გადავადების პროგრამით და ეკონომიკის კრიზისით საბანკო სფეროს მოგება ნულთან ახლოს აღმოჩნდა.

დიაგრამა N1




როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2019-20 წლებში სასესხო დავალიანება საკმაოდ მზარდია პანდემიის დაწყების შემდეგაც. ერთი შეხედვით, პანდემიის პირობებში გაიზარდა სესხზე მოთხოვნა, მაგრამ ეს ფაქტი რეალობას არ შეესაბამება. ვალდებულებების ზრდა გამოიწვია სასესხო შენატანების გადავადებამ, რაც ნიშნავს იმას, რომ პანდემიამდე გაცემული სესხების ძირითადი თანხები არ შემცირებულა. კომერციულმა ბანკებმა გააკეთეს დარიცხული პროცენტის კაპიტალიზაცია ანუ პროცენტის დამატება ძირ თანხაზე, რაც მომხმარებლისთვის წარმოადგენდა უფრო გაძვირებულ სესხს. ამის ფონზე კი გაიზარდა თითოეული მსესხებლის ვალდებულება, რომელმაც ისარგებლა საშეღავათო პერიოდით. ეს სურათი თვალსაჩინოა 2020 წლის აპრილის თვის მაჩვენებლებით, როდესაც სესხების საერთო დავალიანებამ 35 მილიარდ 387 მილიონ 204 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2019 წლის აპრილის თვის მონაცემებით 8 მილიარდ 385 მილიონ 964 ათასი ლარით აღემატება. აღნიშნული დიაგრამიდან ასევე ნათლად ჩანს, რომ 2020 წლის დეკემბრის თვის სასესხო დავალიანება წინა წლის დეკემბრის თვის მონაცემს 6 მილიარდ 357 მილიონ 853 ათასი ლარით აჭარბებს.

2020 წლის განმავლობაში, საბანკო სექტორმა 11 თვის მანძილზე ჯამურად 1.4 მილიონი ლარი იზარალა. ზარალის ძირითადი მოცულობა

განაპირობა საბანკო სექტორის მიერ მარტში განხორციელებულმა ფინანსურმა ოპერაციამ, რომელიც გულისხმობდა 2020 წლის მარტში ბანკების მიერ მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ბუფერში 1.2 მილიარდი ლარის დარეზერვებას. აღნიშნული გარემოება, ქვეყანაში მოსალოდნელი კრიზისის ფონზე, საკრედიტო დანაკარგებისთვის რესურსების წინასწარ ჩამოწერას წარმოადგენდა.

დიაგრამა N2



დიაგრამიდან ჩანს, რომ პანდემიის უარყოფითი გავლენა ყველაზე შესამჩნევია 2020 წლის მარტში, როდესაც სახელმწიფომ დაიწყო საყოველთაო შეზღუდვები COVID-19 პანდემიის შესაჩერებლად და ბიზნესის სექტორი მოუმზადებელი შეხვდა გამოწვევებს. მარტში კომერციული ბანკების ზარალმა 943 მილიონ 130 ათასი ლარი შეადგინა, თუმცა აპრილის თვიდან სესხების გადავადების მეშვეობით მოახდინეს რესურსების მობილიზება და გავიდნენ წმინდა მოგების დადებით ნიშნულზე, თუმცა 2020 წლის მანძილზე ჯამურმა წმინდა მოგებამ 99

მილიონ 261 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის წმინდა მოგებასთან 854 მილიონ 392 ათასი ლარით ნაკლებია.

ქვეყნის საფინანსო სექტორზე COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენის შერბილებისა და ქვეყნის ეკონომიკის წახალისების კუთხით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საგანგებო ღონისძიებები გაატარა. მნიშვნელოვანი ნაბიჯები სხვადასხვა მიმართულებით გადაიდგა: ეკონომიკის სხვადასხვა სფეროსთვის ლიკვიდური ფულადი სახსრების შეუფერხებელი მიწოდება, დროებითი საზედამხედველო გეგმის შექმნა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ-ის) პროგრამის გაფართოება და სავალუტო ინტერვენციების ახალი მექანიზმების ამოქმედება. <sup>6</sup>

პანდემიით გამოწვეულმა შოკებმა მნიშვნელოვნად შეამცირეს ეკონომიკური აქტივობა, რამაც სამუშაო ადგილების შემცირება და შემოსავლების კლება გამოიწვია. აღნიშნულმა გარემოებამ კი, შინამეურნეობები და კომპანიები მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების წინაშე დააყენა. ამ მიმართულებით, კრიტიკული იყო ბანკების მიერ შეთავაზებული სესხების გადავადების პროგრამა, რომლებმაც დროებით გადახდისუუნარო მსესხებლებს ფინანსური მდგომარეობა დროებით შეუმსუბუქა. რეალური ეკონომიკის დაკრედიტების შენარჩუნების მიზეზით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საზედამხედველო გეგმა შექმნა და ბანკებს კაპიტალის და ლიკვიდობის არსებული ბუფერების გამოყენების შესაძლებლობა მიეცათ.

კაპიტალის ბუფერების გამოყენებით, ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკებს პოტენციური ზარალის განეიტრალებისა და რეალური სექტორის დაკრედიტების შესაძლებლობა მისცა. ფინანსურ სექტორზე COVID-19 პანდემიიდან გამოწვეული უარყოფითი შოკების შესამცირებლად და საკრედიტო აქტივობის მხარდასაჭერად, ეროვნულმა ბანკმა დროებითი

---

<sup>6</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის საგანგებო ღონისძიებები COVID-19-თან დაკავშირებით. 22.04.2021



საზედამხედველო გეგმა შეიმუშავა, რომელიც საბანკო სექტორის კაპიტალის ბუფერების გამოყენებას ეხებოდა. შედეგად, კომერციულ ბანკებს კაპიტალის მოთხოვნები ნაწილობრივ შეუმსუბუქდათ. აღნიშნული ნაბიჯით, საბანკო სექტორს 1.6 მილიარდი ლარის ოდენობის კაპიტალი გამოუთავისუფლდა, რაც პოტენციური ზარალის გასანეიტრალეზად და ეკონომიკის დასაკრედიტებლად იქნა მიმართული.

2020 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, საბანკო სექტორში 15 კომერციული ბანკი ფუნქციონირებდა. 2020 წლის ბოლოსთვის საბანკო სისტემის მთლიანი საკრედიტო პორტფელი 38 მლრდ ლარი იყო და, გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, მისმა წლიურმა ზრდამ 9 პროცენტი შეადგინა. მთელი წლის განმავლობაში დეპოზიტები 8.3 მლრდ ლარით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 20.8 პროცენტი) გაიზარდა და დეკემბრისათვის 34.6 მლრდ ლარი შეადგინა. საკრედიტო პორტფელის წინა წლებთან შედარებით დაბალი ზრდის ტემპი COVID-19 პანდემიიდან გამომდინარე დაკრედიტების აქტივობის შენელებამ გამოიწვია.

COVID-19 პანდემიის შედეგად გამოწვეულმა შეზღუდვებმა მნიშვნელოვნად გაზარდა საკრედიტო პორტფელის რისკი. ყოველივე ამან საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელის ხარისხი 2020 წლის ბოლოსთვის წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გააუარესა, რაც ნეგატიური და რესტრუქტურული სესხების წილის ზრდით გამოიხატა. აგრეთვე, მნიშვნელოვნად გაიზარდა სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვიც. 2020 წლის მარტში კომერციულმა ბანკებმა, ეროვნული ბანკის მოთხოვნით, პორტფელურად შეაფასეს და დამატებით 1.1 მლრდ ლარის სესხების შესაძლო დანაკარგების საერთო რეზერვი შექმნეს. 2020 წლის სექტემბრიდან კი, ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით უკვე შექმნილი საერთო რეზერვის სპეციალურ რეზერვში გადატანა განხორციელდა. პორტფელის ხარისხის გაურესება და რეზერვების ზრდა, ძირითადად გამოიწვია მოწყვლად ეკონომიკურ სექტორებში შეზღუდვებიდან გამომდინარე

ნეგატიური ეკონომიკური შედეგების რეალიზაციამ და კურსის გაუფასურების გამო უცხოური ვალუტის მსესხებლებისათვის ვალის ტვირთის ზრდამ.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის მანძილზე საბანკო სექტორი მსესხებლებს სესხის გადახდის გადავადებას სთავაზობდა. ვადაგადაცილებული სესხების წილი პანდემიის დაწყებამდე პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად არ შეცვლილა სესხების აქტიური გადავადებისა და რესტრუქტურისაციის ხარჯზე. თუმცა გაიზარდა ნეგატიური და რესტრუქტურისებული სესხების წილი საკრედიტო პორტფელში.

წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა კომერციული ბანკების მოგება, რაც პანდემიის ნეგატიური შედეგებიდან გამომდინარე მარტში სესხების შესაძლო დანაკარგების საერთო რეზერვის შექმნით იყო გამოწვეული. ამასთან ერთად, წლის განმავლობაში შემცირდა წმინდა საპროცენტო მარჟა და არასაპროცენტო შემოსავლებიც. საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობს ბანკების მომგებიანობის საპროგნოზო მაჩვენებლების განხილვას, ცალკეული ინსტიტუტების ბიზნეს მოდელისა და სტრატეგიის ანალიზს.

2020 წლის განმავლობაში, მიუხედავად პანდემიით გამოწვეული უარყოფითი გავლენისა და მერყეობებისა, ლიკვიდური აქტივების მოცულობამ მაღალი დონე შეინარჩუნა. COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული რისკების წარმოშობის შემდგომ, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის ლიკვიდობის მხარდამჭერი მნიშვნელოვანი ღონისძიებები მალევე გაატარა, რისი საშუალებითაც შესაძლებელი გახდა ლარის დამატებითი ლიკვიდობის მოზიდვა და არსებული რისკები მნიშვნელოვნად შემცირდა. ზემოაღნიშნული ღონისძიებების შემდეგ, წლის პირველი ნახევრის ბოლოს, ლარის საკმარისი რესურსი დაგროვდა და ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტმა COVID-19-ის პანდემიამდე არსებულ დონეს გადააჭარბა.

ასევე მომზადებული შეხვდა მიკროსაფინანსო სექტორიც COVID-19 პანდემიის ნეგატიურ შედეგებს. ეროვნულმა ბანკმა მიკროსაფინანსო სექტორისთვის პანდემიის კრიზისის დასაძლევად ლიკვიდობის მხარდაჭერი პროგრამა აამოქმედა. კერძოდ, მიკროსაფინანსო სექტორისთვის ლარის რესურსზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის ამოქმედდა 200 მლნ აშშ დოლარის ოდენობის სვოპ ინსტრუმენტი. ასევე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისი სასესხო პორტფელის მოცულობის ფარგლებში, ეროვნული ბანკის მხარდაჭერით, კომერციული ბანკებიდან სასესხო რესურსის მოზიდვა შეეძლოთ. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უმეტესმა ნაწილმა სოციალური პასუხისმგებლობა გამოიჩინა და სესხების დაფარვაზე 3 თვიანი საშელავათო პერიოდი გამოაცხადა, რიგ შემთხვევებში კი, განმეორებითაც.

2020 წლის აპრილიდან საბანკო სექტორისათვის დამატებითი ლიკვიდობის მხარდაჭერის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ეროვნული ბანკი სავალუტო სვოპ ოპერაციებს იყენებდა. აღნიშნული ინსტრუმენტი, კომერციული ბანკების გარდა, ხელმისაწვდომი იყო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვისაც. სავალუტო სვოპ ოპერაციები თვეში ერთხელ ტარდებოდა და 2020 წლის განმავლობაში სულ ცხრაჯერ გაიმართა. მასში, მონაწილეობა 9 კომერციულმა ბანკმა და, ბანკების მეშვეობით, 8 მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ მიიღო. 2020 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, სვოპ ოპერაციებით გამოყენებული თანხა შეადგენდა 40.7 მლნ აშშ დოლარის შესაბამის ოდენობის 133.7 მლნ ლარს.

2020 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი უშვებდა 3-თვიანი ვადის სადეპოზიტო სერტიფიკატებს, რომლებიც საბანკო სექტორმა გამოიყენა როგორც ლიკვიდობის მართვის ეფექტიანი მოკლევადიანი ინსტრუმენტი. 2020 წლის განმავლობაში გამოცხადებული 13 აუქციონიდან კომერციულმა ბანკებმა ყველა აუქციონზე შეიძინეს გამოტანილი სადეპოზიტო სერტიფიკატების სრული ოდენობა. 2020 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით,

მიმოქცევაში არსებულ 60 მლნ ლარის სადეპოზიტო სერტიფიკატებს 4 კომერციული ბანკი ფლობდა.<sup>7</sup>

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საბანკო რეგულაცია შეარბილა "ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ" და დებულებაში ცვლილებები შეიტანა, რომელიც 2020 წლის 15 აპრილიდან ამოქმედდა. სებ-ის განცხადებაში ნათქვამია, რომ ცვლილების ძირითადი მიზანია წესებზე დამყარებული მიდგომიდან უფრო მეტად პრინციპებზე დაფუძნებულ მიდგომაზე გადასვლა. ასეთი მიდგომა დაკრედიტების მენეჯმენტში ნაკლებ ჩარევას გულისხმობს, რაც ფინანსური ინსტიტუტის რისკების მართვის ფუნქციის როლს გაზრდის და გადახდისუნარიანი მოსახლეობისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ხარისხს აამაღლებს. დებულების მიხედვით შეიცვალა მსესხებლის შემოსავლის შესწავლის წესი, კერძოდ, მსესხებლის შემოსავლის შესწავლა კვლავ სავალდებულოა, თუმცა შემოსავლის დადგენის პრაქტიკა აღარაა წესად გაწერილი (მაგალითად, არაფორმალური დასაქმებისას ადგილზე ვიზიტი) და ფინანსურ ინსტიტუტს თავად შეუძლია შიდა პროცედურით განსაზღვროს აღნიშნული წესი. ასევე შეიცვალა PTI ლიმიტი და სესხის გაცემის დროს, როდესაც ყოველთვიური შემოსავალი 1000 ლარი ან მეტია, ხელფასის 50% გაითვალისწინება ყოველთვიურ გადასახდელად. ასევე შეიცვალა იპოთეკური სესხის ვადიანობაც და ლარში გაცემული იპოთეკური სესხის ვადა 15-დან 20 წლამდე გაიზარდა. რეგულაცია აღარ ვრცელდება იმ პირებზე, რომელთა სესხის მოცულობა 1 მილიონ ლარზე მეტია (ნაცვლად 2 მილიონი ლარისა) ან რომლებიც აკმაყოფილებენ გათვითცნობიერებული ინვესტორის კრიტერიუმს.<sup>8</sup>

ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის ბოლო მონაცემებით (რომელიც 2021 წლის 16 ივნისს გაიმართა) ფინანსურმა სექტორმა COVID-19

<sup>7</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი. წლიური ანგარიში 2020.

<sup>8</sup> ტყეშელაშვილი შ. საბანკო რეგულაციები შეარბილდა - ეროვნულმა ბანკმა ცვლილება დაამტკიცა. 17.03.2020 <<https://bm.ge/ka/article/sabanko-regulaciebi-sherbilda--erovnulma-bankma-cvlileba-daamtkica/51254>>

პანდემიით გამოწვეული შოკის საკმაოდ მძიმე ფაზა განვლო. 2021 წლის აპრილის მონაცემებით, ბანკები კაპიტალის და ლიკვიდობის ნორმალურ მაჩვენებლებს ინარჩუნებენ. წლის დასაწყისიდან მოგების არსებული ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში ნავარაუდებია, რომ ბანკები 2021 წელს სოლიდური მოგებით დაასრულებენ. მოგების ზრდას ხელს უწყობს მაღალი საკრედიტო აქტივობა და დარეზერვების შემცირება, რაც 2020 წელს სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების წინასწარ შექმნითაა გამოწვეული. უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად, საშეღავათო პერიოდით საკრედიტო პორტფელის 10% სარგებლობს. ამავდროულად, აქტივების ხარისხის შეფასება გრძელდება, მაგრამ უმოქმედო სესხების მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ზრდა მოსალოდნელი არაა. კომიტეტის შეფასებით, ბანკების მიერ შექმნილი სესხების შესაძლო დანაკარგის რეზერვი ადეკვატურად პასუხობს პანდემიიდან გამოწვეულ მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგის დონეს. შესაბამისად, კომიტეტის აზრით, 2021 წელს საბანკო სექტორი მდგრადობას შეინარჩუნებს და ეკონომიკის შეუფერხებლად დაკრედიტებას განაგრძობს.<sup>9</sup>

### **3.2. კვლევა -COVID-19 პანდემიის გავლენა საბანკო ბიზნესზე**


ნაშრომში განხილული თეორიული საკითხების შესაჯამებლად ჩატარდა კვლევა, სადაც ნაჩვენებია COVID-19 პანდემიის გავლენა საბანკო ბიზნესზე, ფინანსური კრიზისის როლი ბანკების საქმიანობაზე და ასევე პრობლემები, რომლებიც შემოსავლის გარეშე დარჩენილ მომხმარებლებს შეექმნათ. კვლევაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 179 ადამიანმა, რომლებიც სარგებლობენ საბანკო სერვისებით და უმეტეს მათგანს აქვს საკრედიტო ვალდებულება სხვადასხვა კომერციულ ბანკში. გამოკითხვის შედეგები კი ასეთია:

---

<sup>9</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი. ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწყვეტილება. 16.06.2021. <<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=4246>>

### დიაგრამა N3


სარგებლობით თუ არა რომელიმე ბანკის სესხით?



გამოკითხულთა უმეტესი ნაწილი სარგებლობს აქტიური სესხით სხვადასხვა კომერციულ ბანკში, მცირე ნაწილმა დაფარა და ნაწილს თავად არ უსარგებლია სესხით, თუმცა მის ოჯახის წევრებს და ახლობლებს აქვთ მოქმედი საკრედიტო ვალდებულება და ეცნობიან ბანკებში მიმდინარე პროცესებს.

დაკარგეთ თუ არა პანდემიის პერიოდში სამსახური ან შეგიმცირდათ შემოსავალი?

### დიაგრამა N4




გამოკითხულთა 53.5%-ს იგივე შემოსავალი დარჩა, რაც პანდემიამდე, თუმცა დაახლოებით 32%-ს შეუმცირდა და 13.5%-მა დაკარგა სამსახური. ცხადია, მათ მძიმე ტვირთად დააწვათ საკრედიტო ვალდებულება და მოუწიათ სესხის გადავადება. აღსანიშნავია ისიც, რომ პანდემიამ

გამოიწვია საბაზრო ფასების ზრდა, გაძვირდა ყოველდღიური მოხმარების ნივთები და ყოველი მათგანის შემოსავალზე პირდაპირ ან ირიბად აისახა ფინანსური კრიზისი.

**ისარგებლეთ თუ არა სესხის საყოველთაო გადავადებით და რამდენად კმაყოფილი ხართ?**


**დიაგრამა N5**



რაც შეეხება სესხების საყოველთაო გადავადების პროცესს, გამოკითხულთა უმეტესმა ნაწილმა არ ისარგებლა ამ შემოთავაზებით, რადგან მოხდა საკრედიტო ვალდებულებებზე დამატებით პროცენტის დარიცხვა, საკრედიტო ვალდებულების ვადის გაზრდა და დამატებით გაძვირდა პროდუქტი, თუმცა საბოლოო ჯამში, პოზიტიური ნაბიჯი იყო კომერციული ბანკების და სახელმწიფოს მხრიდან, რადგან შემოსავლის გარეშე დარჩენილ მოსახლეობას ჯარიმები და საურავები არ დარიცხვოდათ და მათ საკრედიტო რეიტინგსაც არ შექმნოდა პრობლემა.

**გაიზარდა თუ არა თქვენი საკრედიტო ვალდებულება 2020 წელში?**

**დიაგრამა N6**



პანდემიის პერიოდში, მომხმარებლების საკრედიტო ვალდებულება მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, თუმცა ნაწილს მოუწია დამატებით სესხის აღება და ნაწილს სესხის საყოველთაო გადავადებით სარგებლობის გამო დაერიცხათ დამატებითი პროცენტები, რამაც თავისთავად გამოიწვია საკრედიტო ვალდებულების ზრდა.

**მეტად ლოიალური უნდა იყოს თუ არა საბანკო პოლიტიკა ფინანსური კრიზისების დროს?**

დიაგრამა N7




გამოკითხულთა უმეტესი ნაწილის აზრით, საბანკო პოლიტიკა უფრო ლოიალური უნდა იყოს ფინანსური კრიზისების დროს, რადგან მომხმარებელთა დიდ ნაწილს შეექმნა ფინანსური პრობლემები და ტვირთად დააწვათ საკრედიტო ვალდებულება. შესაძლებელი იყო სესხების საყოველთაო გადავადების დროს დამატებითი პროცენტი არ დარიცხულიყო, როგორც ეს გააკეთა მაგალითად გერმანიის ქვეყანამ, თუმცა პროცენტის სუბსიდირება გაწია სახელმწიფომ და ისეთი განვითარებადი ეკონომიკის ქვეყანა, როგორც საქართველოა, შესაძლოა ფინანსურად ვერ გაწვდენილიყო ხარჯებს, ამიტომ საბანკო პოლიტიკა ნაწილობრივ მისაღებია, რადგან ისინიც აღმოჩნდნენ კრიზისში.

**დაგჭირდათ თუ არა სესხის რესტრუქტურირაცია, შემოსავლის არ ქონის გამო?**

დიაგრამა N8






საყოველთაო გადავადების შემდგომი პროცესი იყო სესხების რესტრუქტურისა, რომელსაც ბანკი განიხილავს ინდივიდუალურად თითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობის და შემოსავლების შეფასებით. სესხის რესტრუქტურისა დაჭირდათ ძირითადად ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებს, რადგან შეზღუდვები თითქმის მთელი წელი გაგრძელდა და მნიშვნელოვნად იყო შემცირებული სამომხმარებლო მოთხოვნა. შესაბამისად, ისინი ვერ გამოიმუშავებდნენ მოგებას და მოუწიათ ესარგებლათ სესხის რესტრუქტურისებით და დამატებით გადაეხადათ დაკისრებული პროცენტი. ასეთი სექტორი ძირითადად საცალო ვაჭრობა იყო, ხოლო ტურიზმის, სასტუმროების და რესტორნების ბიზნესი სახელმწიფოს მხრიდან იქნა სუბსიდირებული და მათ დამატებით ისარგებლეს 6 თვიანი საშეღავათო პერიოდით სესხებზე.

**რას ურჩევდით ბანკებს მომხმარებლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით?**


დიაგრამა N9



გამოკითხულთა დიდი ნაწილი და ალბათ საქართველოს მოსახლეობის 90% თვლის, რომ ქართულ საბანკო სექტორში მომსახურების მაღალი სტანდარტია, თუმცა პრობლემად რჩება მაღალი საპროცენტო განაკვეთი. სესხის აღების დროს, განსაკუთრებით იპოთეკური სესხის შემთხვევაში, მომხმარებლებს უწევთ საკმაოდ დიდი თანხის გადახდა პროცენტის სახით. განვითარებული ქვეყნების ეკონომიკებს თუ გადავხედავთ, ბაზარზე ფიქსირდება მიზერული პროცენტები და მოსახლეობას მეტი შესაძლებლობა აქვს შეიძინონ უძრავი ქონება ან წამოიწყონ კერძო ბიზნესი. საქართველოს საბანკო სისტემაში კი ეროვნული ბანკი არეგულირებს ძირითად პროცენტს და იქიდან გამომდინარეობს კომერციული ბანკების პროცენტებიც, ამიტომ სახელმწიფოს და ცენტრალური ბანკის მხრიდან მეტი ქმედითი ნაბიჯები უნდა განხორციელდეს, რადგან დაიკლოს საკრედიტო პროდუქტებზე მოქმედმა პროცენტებმა და მეტად განვითარდეს ადგილობრივი ბიზნესი და წარმოება.

**გართულდა თუ არა პანდემიის პირობებში სესხის გაცემის პროცესი?**

**დიაგრამა N10**




ქართულ საბანკო სექტორში სესხის გაცემის პროცესი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, თუმცა პანდემიის პერიოდში ცვლილება შევიდა გარკვეული სახის ბიზნეს სექტორის დაფინანსებაში. კერძოდ, დროებით იყო შეჩერებული სარესტორნე, სასტუმრო და ტურიზმის სფეროების

დაფინანსება. ასევე პრობლემა წარმოიშვა სამომხმარებლო სესხების გაცემის კუთხითაც, რადგან კერძო სექტორში დასაქმებულების დიდ ნაწილს მოუწიათ უხელფასო შვებულებებში ყოფნა, მათ შეუჩერდათ ხელფასის ტიპის ჩარიცხვები და შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში ისინი ვერ ისარგებლებდნენ ახალი საკრედიტო პროდუქტით, სანამ 6 თვიანი ჩარიცხვები არ აღდგებოდა. ასევე დროებით შეჩერებული იყო უცხოური გზავნილით უზრუნველყოფილი სესხის გაცემებიც და ყოველივე ამან გამოიწვია ბანკების მიერ სესხების გაცემის სიმცირე.

**კმაყოფილი ხართ თუ არა საბანკო მომსახურებით საქართველოში?**

**დიაგრამა N11**



რაც შეეხება საბანკო მომსახურების კმაყოფილებას, გამოკითხულთა დაახლოებით 80% თვლის, რომ კმაყოფილია საბანკო მომსახურებით, თუმცა გარკვეული სახის ცვლილებებს შეიტანდა. ძირითადი საკითხი, რასაც მომხმარებლები უკმაყოფილების მიზეზად ასახელებენ, არის მაღალი საპროცენტო განაკვეთი და საგულისხმოა, რომ საბანკო სექტორმა გაითვალისწინოს მომხმარებელთა აზრი და გაატაროს მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომ შეძლოს მომხმარებელთა მაღალი კმაყოფილების დამსახურება.

## დასკვნა და რეკომენდაციები

კრიზისების მართვა საბანკო სექტორში დიდ ძალისხმევას მოითხოვს, კრიზისების მრავალფეროვანი ბუნებიდან გამომდინარე, თუმცა დღესდღეობით საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები წარმატებით ახორციელებენ თავის საქმიანობას ბაზარზე. მათ შემუშავებული აქვთ შიდა პოლიტიკა, ასევე ფუნქციონირებს რისკების მართვის სამსახური, რომლებიც ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებენ რისკების და შესაძლო ფინანსური დანაკარგების მონიტორინგს და ეძებენ აღმოფხვრის გზებს. ასევე კრიზისების მინიმალიზება რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის დებულებებით და ნორმატიული აქტებით, რომლებიც გარკვეული სახის შეზღუდვებს უწესებენ კომერციულ ბანკებს რისკების აღების თვალსაზრისით, რათა თავიდან აიცილონ ფინანსური დანაკარგები და არ აღმოჩნდნენ კრიზისში. საბანკო რისკები და საბანკო კრიზისი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, რადგან რისკების უგულებელყოფამ ნებისმიერ საბანკო ოპერაციაში, განსაკუთრებით, დაკრედიტებაში, საკრედიტო პორტფელის არაეფექტიან მართვაში, შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგები, ბანკი აღმოჩნდეს კრიზისში და მოუწიოს ლიკვიდაცია.

საყურადღებოა COVID-19 პანდემიით გამოწვეული ფინანსური კრიზისი, რომელმაც მოიცვა გლობალური და მათ შორის საქართველოს საბანკო სექტორი და უარყოფითად აისახა მის საქმიანობაზე. კრიზისმა გამოავლინა ის ნაკლოვანებები და პრობლემები რაც აწუხებდა ფინანსურ სექტორს, კერძოდ საბანკო სექტორის მომხმარებლების უმეტეს ნაწილს, როგორც კერძო ბიზნესის წარმომადგენლებს, ისე დაქირავებულ პერსონალს, არ გააჩნიათ ფინანსური დანაზოგი დღევანდელი ყოფითი პრობლემებიდან გამომდინარე და მათ საკრედიტო ვალდებულება დამატებით ტვირთად დააწვათ. ზოგიერთი კომპანია ვერ გაუმკლავდა ფინანსურ სირთულეებს და მოუწიათ ბაზრიდან გასვლა. ყოველივე ამან შეამცირა სამუშაო ადგილები და გაიზარდა ვადაგადაცილებული სესხების ოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის დიდი ტალღა უკვე გადავლილია და თითქმის დანაკარგების სრული სურათია სახეზე, კერძო ბიზნესს კვლავ უჭირს ვალდებულებების დაფარვა, რადგან ეკონომიკამ ვერ დაიწყო საკმარისი ტემპით განვითარება. სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა განხორციელდეს მრავალი ქმედითი ნაბიჯი, რომელიც ადგილობრივ წარმოებას, ვაჭრობას შეუწყობს ხელს და მისცემს საშუალებას დაფარონ არსებული საბანკო ვალდებულებები.

საბანკო კრიზისების მართვასა და მასთან დაკავშირებული საკითხების კვლევისა და ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია გაკეთდეს შემდეგი სახის დასკვნები და რეკომენდაციები: ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პანდემიამ უარყოფითად იმოქმედა როგორც საბანკო სექტორის საქმიანობაზე, ისე მის მომხმარებლებზე და გაიზარდა ვადაგადაცილებული და რესტრუქტურირებული სესხების მოცულობა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს კერძო ბიზნესის კრიზისიდან გამოსვლას, რაზეც დამოკიდებულია კომერციული ბანკების გამართული ფუნქციონირება. აგრეთვე ბანკებმაც უნდა მოახდინონ კრიზისში მყოფი ბიზნეს კლიენტების საჭიროების მიხედვით დამატებითი დაფინანსება, რადგან ბიზნეს სექტორი ჩვეულ სამუშაო რეჟიმში

დაბრუნდეს და გახდეს საკმარისად გადახდისუნარიანი; ასევე კვლევით დადგინდა, რომ საკრედიტო პორტფელში გაიზარდა დაგვიანებული და უმოქმედო სესხების წილი. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, ბანკის მხრიდან უნდა განხორციელდეს დაგვიანებული სესხების გრძელვადიანი რესტრუქტურირება და ახალი სესხებისთვის დაფარვის ვადის გაზრდა; კვლევით დგინდება, რომ მომხმარებლები უკმაყოფილონი არიან საქართველოს ბაზარზე მოქმედი საპროცენტო განაკვეთებით, რაც პანდემიამდე პერიოდშიც აწუხებდათ. საპროცენტო განაკვეთის დაწევა მართლაც წახალისება იქნება კრიზისში მყოფი ბიზნესისთვის და მეტ ადგილობრივ წარმოებას ჩაეყრება საფუძველი; უნდა აღინიშნოს, რომ კომერციული ბანკები დამოუკიდებლად ვერ შეძლებენ ყველა პრობლემის გადაჭრას და აუცილებელია ეროვნული ბანკის და სახელმწიფოს მხრიდან ერთობლივი მხარდაჭერა.

საბანკო სექტორი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. საბანკო სექტორში არსებულმა კრიზისმა შესაძლოა გამოიწვიოს ეკონომიკის და ფინანსური სექტორის სისტემური კრიზისი და სირთულეები აისახოს მთლიანად საზოგადოებაზე. ამიტომ COVID-19 პანდემიის პირობებში საბანკო კრიზისების მართვის არსებული მეთოდების ანალიზი, განვითარება და სრულყოფა კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასილაია, კ. საბანკო საქმე. თბილისი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2018. 378გვ.
2. ელიავა, ლ. საბანკო კრიზისების პროგნოზირება. თბილისი. 2013. 400გვ.
3. კოვზანაძე, ი. კონტრიძე, გ. თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. თბილისი. 2014. 486-490გვ.
4. ნარმანია,დ. ფარესაშვილი, ნ. რისკ-მენეჯმენტი ბიზნესში“. თბილისი. უნივერსალი. 2012. გვ.206-209
5. ქემელაშვილი, გ. ანტიკრიზისული მენეჯმენტი. თბილისი. 2019. 381გვ.
6. ლურჯაია, კ. სადისერტაციო ნაშრომი საბანკო რეგულირების გავლენა საბანკო კრიზისსა და კომერციული ბანკების ფინანსურ მაჩვენებლებზე. თბილისი 2018. საქართველოს უნივერსიტეტი.
7. ცაავა, გ. გავაშელი, შ. ცაავა, დ. ბურდიაშვილი, რ. მოსიაშვილი, ვ. რისკოლოგია. თბილისი 2018. 650 გვ.
8. Brinkmeyer , H. Drivers of Bank Lending. Germany. 2015. 247p.
9. Rejda, G.E. McNamara, M. J. Thirteenth Edition. Harlow England. 2017. 721 p.
10. Koch, T. W. Macdonald, S. S. Bank Management. USA. 2014. 802 p.
11. საქართველოს ეროვნული ბანკი. ფინანსური ზედამხედველობა. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=523> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 18.07.2021]
12. საქართველოს ეროვნული ბანკი. კომერციული ბანკების რისკების შეფასების საერთო პროგრამის მოქმედების წესის დამტკიცების თაობაზე. ბრძანება №32/04 2014 წლის 27 მარტი. ქ. თბილისი

- <<https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/fts/sabanko2020/3204.pdf>>  
[უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 18.07.2021]
13. საქართველოს ეროვნული ბანკი. წლიური ანგარიში 2020.  
<[https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2021/annual\\_report\\_2020\\_nbg.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2021/annual_report_2020_nbg.pdf)> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 18.07.2021]
  14. საქართველოს ეროვნული ბანკის საგანგებო ღონისძიებები COVID-19-თან დაკავშირებით. 22.04.2021 <<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=754>>  
[უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 18.07.2021]
  15. საქართველოს ეროვნული ბანკი. ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწყვეტილება. 16.06.2021  
<<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=4246>> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 18.07.2021]
  16. Business Media Georgia. ტყეშელაშვილი შ. საბანკო რეგულაციები შერბილდა - ეროვნულმა ბანკმა ცვლილება დაამტკიცა. 17.03.2020.  
<<https://bm.ge/ka/article/sabanko-regulaciebi-sherbilda---erovnulma-bankmacvileba-daamtgica/51254>> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 18.07.2021]
  17. საქართველოს ეროვნული ბანკი. სტატისტიკური მონაცემები.  
<<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 18.07.2021]
  18. კემბრიჯის უნივერსიტეტი. Michael G. Inside Debt and Bank Risk. Foster School of Business, University of Washington 2016.  
<<https://www.cambridge.org/core/journals/journal-of-financial-and-quantitative-analysis/article/inside-debt-and-bank-risk/F4424AE7B3B79918C6711E927BEFBC5D>> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 18.07.2021]
  19. კემბრიჯის უნივერსიტეტი. Michael G. Fiscal Deficits, Bank Credit Risk, and Loan-Loss Provisions. Foster School of Business, University of Washington. 30 June 2020.  
<<https://www.cambridge.org/core/journals/journal-of-financial-and-quantitative-analysis/article/fiscal-deficits-bank-credit-risk-and-loan-loss-provisions/148C4FA321B98190D824073F715E53D2>> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 18.07.2021]
  20. Kreditzahlung in der Coronakrise anpassen. 24. Februar 2021.  
<<https://www.sparkasse.de/aktuelles/coronavirus-kreditzahlung-aussetzen.html>> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 18.07.2021]
  21. Droht eine neue Bankenkrise? 01.12.2020  
<<https://www.tagesschau.de/wirtschaft/boerse/banken-boerse-101.html>>  
[უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 18.07.2021]



